პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 15 კაპ.
შაბათი, 9 მარტი 1935 წ.
№ 58 (4114)

დღეს ნომერში

— ახალგაზრდობის აღზრდა კომკავშირის ცენტრალური ამოცანაა. („პრავდის" მოწინავე. 1-ლი გვ.).
— 1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაცია გეგმის შესახებ ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება (1-ლი გვ.)
— ამ.-კავ. ს. ფ. რ-ის მე-7 მოწვევის ცაკის II სესიის დადგენილება ა. კ. ს. ფ. რ-ის 1935 წელს სახალხო-სამეურნეო გეგმის და ბიუჯეტის შესახებ (მე-2 გვ.).
— 1935 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ, ა.კ.ს.ფ.ს. რ-ის სახკომსაბჭოს დადგენილება (1-ლი გვ.).
— პარტიული კონტროლის კომისიაში (მე-2 გვ.).
— უცხოეთის ინფორმაციები: მოლაპარაკებები [illegible] ლეთ-ჩინეთის რკინიგზის შესახებ, საბერძნეთის ამბები, საბჭოთა კავშირი და გერმანია. როდის ფიქრობს გერმანია საიმონის ნახვას.

ახალგაზრდობის აღზრდა
კომკავშირის ცენტრალური ამოცანა

„პრავდის" მოწინავე წერილი

პროლეტარული რევოლუციის ძლევამოსილი განვითარების ყველა ეტაპზე ჩვენს ლენინურ კომკავშირს, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტია, მაღლა ეჭირა კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა. ლენინი ისტორიულ სიტყვაში რუს. ახალ. კომკავშირის მესამე ყრილობაზე 1920 წელს ამბობდა: „ამ ახალგაზრდული აზრით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ახალგაზრდობას მთელის კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა, ვინაიდან აშკარაა, რომ მუშაკთა თაობა, რომელიც აღზრდილია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უკეთეს შემთხვევაში შესძლებს გადაჭრას ძველის, ექსპლოატაციაზე აგებული კაპიტალისტური ცხოვრების საფუძვლის მოსპობის ამოცანები..."

მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის გმირული ლენინსტალინური ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში არა თუ საფუძველი გამოეთხარა ძველს, კაპიტალისტურ საზოგადოებას, არამედ აგრეთვე შექმნილია სოციალიზმის მტკიცე საძირკველი. და ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა თანამედროვე თაობა ნამდვილად წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც ლენინმა ჯერ კიდევ 15 წლის წინად მოუწოდა გადაეჭრა კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა.

ლენინური კომკავშირის მთელი უდიდესი და უაღრესად მრავალმხრივი საქმიანობა მოწმობს, რომ იგი წარმატებით ასრულებდა ლენინის ანდერძს. იგი არა მარტო გმირულად იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტზე; იგი ასეთივე უსაზღვრო ერთგულებით იბრძოდა ორი ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. იგი ასეთივე უმაგალითო ენერგიით ეხმარებოდა პარტიას მთელს ფრონტზე სოციალისტური შეტევის პერიოდში.

მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და იგი ძალუმად უყენებს თანამედროვე ახალგაზრდობას ახალ, უფრო გადიდებულ მოთხოვნებს. ამხ. სტალინი, ანვითარებდა რა ლენინის აზრებს ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ, ჯერ კიდევ 1928 წელს საკ. ა. ლ. კომკავშირის მე-8 ყრილობაზე ამბობდა: „...ჩვენში მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან ხოტბა შეასხან ჩვენს უკულტურობას, თუ შენ წერა-კითხვის უცოდინარი ხარ, ან სწერ უხეიროდ და თავი მოგაქვს შენი ჩამორჩენილობით, შენ „დაზგის" მუშა ხარ შენ გეკუთვნის პატივი და დიდება. თუ შენ თავი დააღწიე უკულტურობას, შეიძინე ცოდნა, დაეუფლე მეცნიერებას, მაშინ შენ უცხო ხარ, „მოწყდი" მასებს, უკვე აღარა ხარ მუშა. მე მგონია, რომ ჩვენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ წინ, სანამ არ აღმოვფხვრით ამ ბარბაროსობას და სიველურეს, მუშათა კლასს არ შეუძლია გახდეს ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი, თუ მან არ შექმნა თავისი საკუთარი ინტელიგენცია, თუ იგი არ დაეუფლა მეცნიერებას და ვერ შესძლო მეურნეობის გაძღოლა მეცნიერების საფუძველზე".

განვლილი 7 წლის მანძილზე ჩვენ, რასაკვირველია, შორს, ძალიან შორს წავედით წინ. ძირითად უმრავლესობაში მცირდება ისეთი ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ თავის უკულტურობას, სამაგიეროდ ჩვენში ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან ახალგაზრდები, მათ შორის კომკავშირელებიც, რომელთაც საკმაოდ არა აქვთ შეთვისებული სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანები არსებულ პერიოდში. ხოლო ვითარება ჩვენში ამჟამად ახალია, ე. ი. სრულიად სხვანაირი, ვიდრე, მაგალითად, იყო თუნდაც 3—4 წლის წინათ. თუ, მაგალითად, „სამოქალაქო ომის პერიოდში, — ამბობდა ამხ. სტალინი კომკავშირის იმავე მე-8 ყრილობაზე,—შეიძლებოდა მტრის პოზიციის აღება ცირითით, გმირობით, გამბედაობით, მხედრული შეტევით", „ამჟამად, მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის პირობებში მხედრული შეტევით — მხოლოდ გაფუჭება შეიძლება საქმის. გმირობა და გამბედაობა ახლაც ისევე საჭიროა, როგორც წინათ. მაგრამ მარტო გმირობით და გამბედაობით შორს ვერ წავალთ... იმისათვის, რომ გავიმარჯვოთ საჭიროა გვქონდეს ცოდნა, საჭიროა დავეუფლოთ მეცნიერებას, ხოლო ცოდნის შეძენისათვის საჭიროა სწავლა, სწავლა აუჩქარებლად მოთმინებით".

ამხ. სტალინის ეს მითითება კიდევ უფრო ეხება ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდობას, რადგან მისი დიდი უმრავლესობა ოქტომბრის ასაკისაა. მას გუნდოვანად აქვს წარმოდგენილი კაპიტალიზმი, პროლეტარული რევოლუციის განვითარების პირველი ეტაპები და ამიტომ მისთვის უფრო ძნელია გაერკვეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებში, მისთვის უფრო ძნელია უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ძვრათა და მოვლენათა როლისა და მნიშვნელობის შეფასება. და მან უნდა ისწავლოს, ისწავლოს ბევრი, ისწავლოს ბეჯითად, რათა სავსებით გაამართლოს თავისი დანიშნულება, როგორც ახალი საზოგადოების აქტიურმა მშენებელმა. სამწუხაროდ, იგი ჯერჯერობით ძალიან ცოტას სწავლობს.

არის მრავალი ფაქტი, როცა ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები ურიგოდ არ ეკიდებიან თავიანთ საწარმოო მოვალეობებს, სამაგიეროდ სუსტად მუშაობენ თავისი ტექნიკური და განსაკუთრებით პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებაზე. მოსწავლე ახალგაზრდობა გვარიანად ეუფლება სპეციალურ საგანს, სამაგიეროდ ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევს მეცნიერების საერთო დარგებს, ხოლო ამ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ზოგჯერ აპოლიტიკურია, გადამეტებებით აკადემიურიც კი არის.

ამაში პირველ ყოვლისა ბრალი მიუძღვის კომკავშირს, იგი სუსტად ათანაბრებს თავის საწარმოო საქმიანობას [illegible] და ახალგაზრდათა მასების კულტურული დონის ამაღლებასთან. იგი მეტ ყურადღებას აქცევს სამეურნეო საკითხებს, ვიდრე ახალგაზრდობის იდეურად აღზრდას. ბევრია [illegible], ცოტაა რჩევა-დარიგება მოთმინებითი განმარტებანი. რაც შეეხება [illegible] სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა, და ცოტაა ძალიან ცოტა ის, რაც დამაკმაყოფილებელი და რაც აუცილებელია ახალგაზრდობისათვის.

კომკავშირმა ყოველთვის რომ იცის, რით სუნთქავს, რით არის დაინტერესებული ახალგაზრდობა, განსაკუთრებით წარმოების გარეშე, იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს სკოლას, აქ ხომ რამდენიმე მილიონი ახალგაზრდაა აქ იქმნება მომავალი თაობის სოციალისტური [illegible] საფუძვლები.

უდავოა იმის მტკიცება, თუ რამდენად საჭიროა ახალგაზრდობის ცალმხრივად აღზრდა. ახალგაზრდა ადამიანისაგან ჩვენ უნდა აღვზარდოთ არა უბრალო მუშაკი, არამედ ორგანიზებული, დისციპლინირებული მებრძოლი მუშაკი ფართო პოლიტიკური გარსახედველით, კულტურული, განვითარებული მუშაკი, რომელსაც შესწევს უნარი გაერკვეს ვითარებაში და ნამდვილად აუწყოს სოციალისტური ცხოვრება. ასეთი უკვე არ კმარა იყოს მარტო კარგი მუშაკი, საჭიროა აგრეთვე იზრდებოდეს პოლიტიკურად, კულტურულად და იზრდებოდეს სწრაფად, ვინაიდან შეიძლება ჩამორჩეს ცხოვრებას.

სწორედ ამას უნდა მიაქციოს კომკავშირმა ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება, და ამ ამოცანასთან შეუფარდებით უნდა გარდაქმნას მთელი თავისი მუშაობა, მთელი თავისი აპარატი, რათა უკანასკნელი სავსებით და მთლიანად ემსახურებოდეს ახალგაზრდობის და მისი ცვლის — პიონერების კომუნისტურ აღზრდას.

ახალგაზრდობის აღზრდა ჩვენი საერთო საქმეა, ვისაც ეს არ ესმის, ის ბოლშევიკი კი არ არის, არამედ ჩინოვნიკია. პარტიულ ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ სთქვან, რომ ნამდვილად ეხმარებიან კომკავშირს, თუ ისინი ყოველდღიურად ყურადღებას მიაქცევენ ახალგაზრდობის აღზრდას, თუ ისინი კომკავშირს მისცემენ საუკეთესო, მომზადებულ ამხანაგებს, თუ ისინი შექმნიან სავსებით ხელსაყრელ პირობებს—კომკავშირელთა აქტივისტების ზრდისა და მუშაობისათვის.

ახალი ვითარება—ახალი ამოცანები—ახლებურად მუშაობა. კომკავშირის ცენტრალური ამოცანა ახალგაზრდობის აღზრდაა.

1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ
სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც.-კ-ის დადგენილება
1935 წ. 7 მარტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში 1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა 1.404.910 ტონის რაოდენობით (გარდა ბამბის ჩაბარებისა მტს-ის ნატურადასახდელის სახით) შემდეგი განაწილებით რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების მიხედვით:

რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები.	კონტრაქტაციის გეგმა. ათას ტონებად	აქედან ეგვიპტის ჯიშის
უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკა.	825,36	16,44
თურქმენისტანის "	134,98	10,08
ტაჯიკისტანის "	59,76	9,88
ყირგიზეთის ა.ს.ს. რესპუბლიკა.	46,70	—
ყარა-კალპაკიის "	30,10	—
ყაზახსტანის "	58,97	—
აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკა.	145,80	25,32
სომხეთის "	14,70	—
საქართველოს "	4,30	—
სულ სარწყავ რაიონებში:	1.320,67	61,72
ჩრდილოეთ-კავკასიის მხარე.	30,28	—
აზოვ-შავი ზღვის მხარე.	6,66	—
სტალინგრადის მხარე.	1,04	—
ყირიმის ა. ს. ს. რესპუბლიკა.	6,87	—
ოდესის ოლქი.	27,28	—
დნეპროპეტროვსკის ოლქი.	12,11	—
სულ ურწყავ რაიონებში:	84,24	—
სულ საბჭოთა კავშირში:	1.404,91	61,72

2. წინადადება მიეცეს მებამბეობის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და მებამბეობის მხარეებისა და ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებს არა უგვიანეს 1935 წლის 15 მარტისა დაიყვანონ ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა რაიონებამდე, ხოლო რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალონ, რაიონებისა, კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დამტკიცებული თესვის გეგმებთან და მოსავლიანობის მხრივ დავალებებთან შეფარდებით, დააწესონ თვითეული კოლმეურნეობისათვის და სასოფლო საბჭოების მიხედვით ერთპიროვნული მეურნეობებისათვის სახელმწიფოსათვის ნედლი ბამბის ჩაბარების (კონტრაქტაციით) გეგმა.

3. დაევალოს ს.ს.რ. კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 15 აპრილისა ყველა რაიონში დაამთავროს ხელშეკრულებათა დადება 1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

4. იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკული ჯიშის ბამბის ალება მინდორიდან უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1935 წლის 1 დეკემბრისა, ხოლო ეგვიპტის ჯიშისა—არა უგვიანეს 1935 წლის 15 დეკემბრისა,—დაწესდეს 1935 წლის მოსავლის დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის ჩაბარების შემდეგი ვადები:

	ამერიკული ჯიშები.	ეგვიპტის ჯიშები.
1935 წ. სექტემბერში	წლ. გეგმის 15 პროც.	წლ. გეგმის 2 პროც.
1935 წ. ოქტომბერში	—"— 50 პროც.	—"— 35 პროც.
1935 წ. ნოემბერში	—"— 30 პროც.	—"— 45 პროც.
1935 წ. დეკემბერში	—"— 5 პროც.	—"— 18 პროც.

5. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტს და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1935 წლის 20 მარტისა დააწესონ დაკონტრაქტებული ბამბის ჩაბარების ვადები რესპუბლიკებსა მხარეებსა და ოლქებში სტანდარტის და ტენიანობის პროცენტის აღნიშვნით.

6. ბამბის სათესი თესლის გაცემა კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებზე მოახდინონ შემცირებულ ფასებში ნისიად, ღირებულების დაფარვით ნედლი ბამბის ჩაბარების დროს.

7. დაწესდეს ფულადი ავანსების მიცემა მებამბეობის კოლმეურნეობებისათვის 1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის ანგარიშში შემდეგი ოდენობით (მანეთობით ერთ ტონა ნედლ ბამბაზე, რომელიც ჩაბარებულ უნდა იქნას, მოქმედი კოლმეურნეობისათვის დაწესებული გეგმის თანახმად):

რაიონები და ნედლი ბამბის ჯიშების დასახელება	ავანსების ოდენობა	გაცემის ვადები: ხელშეკრულებების დადების დროს	ნათესების შემოწმების შემდეგ	მიწის მეორეჯერ შემოყრის შემდეგ
1. შუა აზიის და ყაზახსტანის რაიონები ამერიკული ჯიშის ნედლეულისათვის.	375 მან.	75 მან.	150 მან.	150 მან.
2. შუა აზიის რაიონები ეგვიპტური ჯიშის ნედლეულისათვის: ქვემო-ეგვიპტური ჯიშის.	750 „	150 „	300 „	300 „
ზემო-ეგვიპტური ჯიშის.	600 „	125 „	250 „	225 „
3. ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა—ამერიკული ჯიშის ნედლეულისათვის.	550 „	100 „	225 „	225 „
4. ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკა—ეგვიპტური ჯიშის ნედლეულისათვის: ქვემო-ეგვიპტური.	1.100 „	200 „	450 „	450 „
ზემო-ეგვიპტური.	900 „	175 „	375 „	350 „
5. მებამბეობის ურწყავი რაიონები (ჩრდილოეთ-კავკასიის, აზოვ-შავი ზღვის და სტალინგრადის მხარეები, უკრაინის სსრ., ყირიმის ა.ს.ს.რ.).	400 „	100 „	150 „	150 „

8. დაწესდეს, რომ იმ საავანსო თანხების არანაკლებ 85 პროცენტისა, რომლებსაც კოლმეურნეობები ღებულობენ კონტრაქტაციით, განაწილებულ უნდა იქნას კოლმეურნეთა შორის მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების ანგარიშში.

9. ავანსების ოდენობა ერთპიროვნული მეურნეობებისათვის დაწესდეს კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ ავანსებზე 25 პროცენტით ნაკლები, ხოლო კულაკური მეურნეობებისათვის - კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ ავანსებზე 50 პროცენტით ნაკლები, ამასთან ერთპიროვნულ მეურნეობებს ფულადი ავანსები უნდა მიეცეს კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ ვადებში.

10. შემცირდეს 6-დან 3-მდე იმ პროცენტის წლიური რაოდენობა, რომელსაც ახდევინებს სახელმწიფო ბანკი მეურნეობებს, რომლებიც ღებულობენ ავანსებს ბამბის კონტრაქტაციისათვის.

11. დატოვებულ იქნას 1935 წელს ნედლი ბამბის ჩამბარებლებისათვის მიცემა: მცენარეულის ზეთისა (შეიძლება შეიცვალოს სამეურნეო საპნით (ნედლი ბამბის ჩამბარებლებისათვის აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში), საკვები კოპტონისა და ბამბისა ან ლინტერისა იმ რაოდენობით და იმ პირობებში, რომლებიც არსებობდა 1934 წელს.

12. იმ რაიონებში, რომლებმაც უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააფართოვეს ბამბის ნათესები, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ აითვისეს ბამბის წარმოება, მთლიანად განთავისუფლებულ იქნან მებამბეობის კოლმეურნეობები სასოფლო-სამეურნეო გ დასახადის და საბინაო და კულტურულ — საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებათათვის გამოსაღების გადახდისაგან ორი წლის ვადით, ხოლო იმ ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის, რომლებიც ბამბას თესენ, შემცირდეს აღნიშნული გადასახადით და გამოსაღებით დაბეგვრა 50 პროცენტით იმავე ვადით.

ამ მუხლში აღნიშნული შეღავათები გავრცელდეს შემდეგ რაიონებზე:

უზბეკისტანის ს. ს. რესპუბლიკაში — ზემო-ჩირჩიკის, ქვემო-ჩირჩიკის, შუა-ჩირჩიკის, კუიბიშევის, პარკენტის, ვალდ-არალის, ურგუტის, მიტანის, აკ-დარიინის, კარა-დარიინის, პაიარიკის, ბეკ-ბუდინის, გუზარის, კასანის, ჩირაკჩინის, შახრი-სიაბზის, იაკა-ბაგის, დინაუსის, ჯარ-კურგანის, სარ-ასიის, გურლენის, მანგიტის, ხივის, ნოვო-ურგენჩის, შავატის, ხაზარ-ასპის, ხანკის რაიონები.

თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკაში — კერკის, ხალაჩის, შარძანგის, კიზილ-აიაკის, პორსინის, ილიალინის, კუნია-ურგენჩის, ტაშაუზის, ტახტის რაიონები.

ტაჯიკისტანის ს. ს. რესპუბლიკაში — სამხრეთ ტაჯიკისტანის ყველა 15 რაიონი.

ყირგიზეთის ა. ს. ს. რესპუბლიკაში — [illegible] - ტიუბინსკის, უზგენსკის რაიონები;

ყარა - კალპაკიის ა. ს. ს. რესპუბლიკაში — ხოჯეილინსკის, ჩიმბაისკის, კუნგრადსკის, კეგეილინსკის, ტახტა - კუპირსკის, ყარაუზიაკსკის, კიპჩაკსკის რაიონები;

ყაზახსტანის ა. ს. ს. რესპუბლიკაში — ბოსტანდიკსკის, იანი-კურგანსკის, არისკის, ლენგეროვსკის, საირამსკის, აულიე - ატინსკის, ჩუისკის, კზილ - კუმსკის, სუზაკსკის, ტალასკის, ჯარკენტსკის, ჩაიანოვსკის რაიონები;

აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში — გეოკჩაის, საბირ - აბადის, სალიანის, ალიბაირამლინის, აგდაშის, კიურდამირის, კარიაგინის, ბელიასუვარის, ზანგელანის რაიონები;

სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში — ვედის, კამარლიუს, ვაგარშაპატის, კურდუკულისკის რაიონები;

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში — ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ყარაიას, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს რაიონები;

13. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ ნედლი ბამბის დამზადების გეგმას, გეგმით ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ ნედლ ბამბაზე ღებულობენ ჯილდოს არსებული დასამზადებელი ფასის დამატებას.

ჯილდოს გაცემის დროს უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით:

ამერიკული ჯიშის ბამბის დარგში სარწყავი რაიონებისათვის:

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა არ აღემატება 6 ცენტნერს, გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით.

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა 6 ცენტნერზე მეტია, მაგრამ არა უმეტეს 10 ცენტნერისა,—გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გაცემულ იქნას დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 100 პროცენტის რაოდენობით.

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა 10 ცენტნერზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 15 ცენტნერს, — გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 150 პროცენტის რაოდენობით.

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა 15 ცენტნერზე მეტია, გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 200 პროცენტის რაოდენობით.

ეგვიპტის ჯიშის ბამბის დარგში

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა არ აღემატება ოთხ ცენტნერს, — გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით.

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა ოთხ ცენტნერზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 7 ცენტნერს, — გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 100 პროცენტის რაოდენობით.

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა 7 ცენტნერზე მეტია, — გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 150 პროცენტის რაოდენობით.

ამერიკული ჯიშის ბამბის დარგში ურწყავ რაიონებისათვის:

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა არ აღემატება 2,5 ცენტნერს, — გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 100 პროცენტის რაოდენობით.

იმ დროს, როცა ერთი ჰექტარიდან ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა 2,5 ცენტნერზე მეტია, — გეგმის ზევით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე გასცენ დამატება არსებული დასამზადებელი ფასის 150 პროცენტის რაოდენობით.

14. ერთპიროვნულ მეურნეობებს ჯილდო — დამატებანი ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მიეცეს კოლმეურნეობებისათვის დაწესებული ჯილდო — დამატების (მუხ. 13) ნახევრის ოდენობით.

★

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მებამბეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, მებამბეობის მტს-ების და ბამბის ქარხნების დირექტორების, აგრეთვე დამამზადებელი პუნქტების გამგეების წინაშე საბრძოლო ამოცანად სახავენ—გაუმჯობესებული თესვის, კულტივაციის, მიწის შემოყრის და ბამბის ალების ბეჯითად მომზადებით და ჩატარებით უზრუნველყონ იმ დავალებათა შესრულება, რომლებიც დასახულია ამ დადგენილებით ბამბის დარგში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გაფრთხილებას იძლევიან, რომ მებამბეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობა შეფასებული იქნება ბამბის საქმის გეგმის შესრულების მიხედვით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ მებამბეობის რაიონების საბჭოთა, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოაწყონ ამ დადგენილების ახსნა - განმარტება მასობრივ კრებებზე, კოლმეურნეთა და მტს-ების მუშათა კრებებზე და სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე [illegible] ბამბის დარგის ყველა მუშაკი ბამბის წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმისათვის.

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1935 წელს სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ
ა. კ. ს. ფ. ს. რ.-ის სახკომსაბჭოს დადგენილება

ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1935 წელს ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებისათვის ქვემოთ აღნიშნული საშუალო რესპუბლიკური ნორმები სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ჩაბარებისა დაწესებულ სახელმწიფო ფასებში (გრამობით თითო სულ პირუტყვზე).

რესპუბლიკები	[illegible]	[illegible]	[illegible]	აქლემის მატყლი	თხის მატყლი
აზერბ. ს. ს. რესპ.	950	1.500	3.800	1.800	300
სომხ. ს. ს. რესპ.	750	1.300	3.800	—	300
საქ. ს. ს. რესპ.	1200	1.500	3.800	—	250

2. მატყლის ჩაბარების ნორმები სასოფლო-სამეურნეო კომლებისათვის, იმისდამიუხედავად აქვთ თუ არა მათ მეცხვარეობის სასაქონლო ფერმები, წესდება ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებისათვის დამტკიცებულ ნორმებზე 10 პროცენტით ნაკლები.

3. მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების მქონე კოლმეურნეობათა წევრებისათვის შეღავათების მიცემის 1934 წლის [illegible] წესის შესაცვლელად, დაწესდეს ამ კოლმეურნეობათა წევრებისათვის შეღავათი სახელმწიფოსათვის 1935 წელს მატყლის ჩაბარების დარგში იმ წესით, რომ კოლმეურნეობისათვის დადგენილ ნორმებს დააკლდეს იმ მატყლის ოდენობის [illegible] პროცენტი, რომელსაც ფერმა აბარებს სახელმწიფოს ისე, რომ ეს დანაკლები ჩათვლილ იქნას კოლმეურნეების პირად ვალდებულებათა შესრულებაში.

4. დაწესდეს მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისა და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული ჯოგისათვის, სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების სავალდებულო, გადასახადის ძალის მქონე, ნორმები მატყლის სახეების მიხედვით (გრამობით სული პირუტყვისაგან).

რესპუბლიკები	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	აქლემის მატყლი	თხის მატყლი
აზერბეიჯანის ს. ს. რ.	1.500	50	1.600	4.200	1.80	430
სომხეთის ს. ს. რ.	1.250	50	1.600	4.200	—	300
საქართველოს ს. ს. რ.	1.550	50	1 600	4.200	—	400

წმინდა მატყლის ჩაბარების ნორმები დაწესებულია უხეშიანი მატყლისათვის [illegible] მისგან წმინდა მატყლის 31 პროცენტის გამოსავლის დროს. წმინდა მატყლის გამოსავლის პროცენტის გადიდების დროს უხეშიანი მატყლის ჩაბარების ნორმა სათანადოდ მცირდება, ხოლო შემცირების დროს—ჩაბარების ნორმა მატულობს.

5. განთავისუფლებულ იქნან საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კოლმეურნეობანი იმ ფაქიზმატყლიან ცხვრების მატყლის ჩაბარებისაგან, რომლებიც შემოყვანილია მეტიზაციისათვის.

6. მატყლის სავალდებულო ჩაბარებით 1935 წელს ყველა სექტორში იბეგრება: [illegible] ცხვრების 1935 წლის 1 იანვრისათვის არსებული რაოდენობის მიხედვით, 1934 წლის გაზაფხულზე მოგებული თხების და ცხვრების [illegible] 2 წლიდან და ზევით [illegible] მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებში და კოლმეურნეობათა განსაზოგადოებულ ჯოგში იმ უხეშმატყლიან ცხვრების სულადობის მიხედვით, რომლებიც იბეგრებიან [illegible].

ბატკნის მატყლის ჩასაბარებელი რაოდენობა განისაზღვრება უხეშმატყლიანი [illegible] დასაბეგრი რაოდენობის გამრავლებით ბატკნის მატყლის ნორმაზე შემდეგი წესით: ნახევრად უხეში ბატკნის მატყლის ოდენობა წესდება მეურნეობის მიერ დაგროვებული უხეშ მატყლიან დედალცხვრების ოდენობის მიხედვით, [illegible] ბატკნის უხეში მატყლის ოდენობა [illegible] უხეშმატყლიან ცხვრების რაოდენობის მიხედვით.

7. მიენდოს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს დაავალონ რაიაღმასკომებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომ ვალდებულებათა ჩაბარება კოლმეურნეობებისათვის არა უგვიანეს ა.-წ. 1 აპრილისა და საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის, რომლებსაც ყავთ ცხვრები, თხები და აქლემები—არა უგვიანეს ა.-წ. 5 აპრილისა.

8. კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კომლების და ერთპიროვნულ მეურნეობების მიერ ყოველგვარი სახის და ჯიშის მატყლის, სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების წესით, ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების საზღვრით ვადად დაწესდეს 1935 წლის 1 ნოემბერი.

9. მიენდოს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, დაავალონ სასოფლო საბჭოებს აწარმოონ როგორც მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა გადაცემის, ისე ყველა საკოლმეურნეო კომლებისა და ერთპიროვნულ მეურნეობების მიერ მათი შესრულების ზუსტი აღრიცხვა.

10. კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს, რომელთაც კანონით დაწესებულ ვადებში არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების მხრივ, დაედებათ ფულადი ჯარიმა ვალდებულებათა შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით, ჩასაბარებელი მატყლის ჩამორთმევით უდაო წესით.

11. პირუტყვის ნამდვილი რაოდენობის დაფარვისათვის დაწესდეს კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეების, კოლმეურნეობების მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების გამგეების, კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მეურნეების სისხლის სამართლის (რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების მიხედვით) პასუხისმგებლობა.

12. [illegible] ორგანოების ადგილობრივ ორგანოებს, დამამზადებელ ორგანიზაციებს დააკისრონ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების შესახებ ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ჩაბარების ნორმებს, დაწესებულს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკების სახკომსაბჭოების მიერ ამ დადგენილებასთან შეფარდებით, ამასთან ჩამბარებლებს, რომლებმაც შეასრულეს თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების მხრივ, [illegible] თავისი პროდუქციის ზედმეტი ნაწილი [illegible].

გაფრთხილებულ იქნას ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია, რომ ის პირები, რომლებიც დანაშაული მიუძღვით შემცირებული გეგმების მიცემაში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

13. სახელმწიფოსათვის მატყლის სავალდებულო ჩაბარების ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებაზე კონტროლი და მეთვალყურეობა დაეკისროს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. -სახკომსაბჭოსთან და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებთან და რაიონებში.

14. ამ დადგენილების მიხედვით ჩაბარებული მატყლის მიღება (დამზადება) დაეკისროს „სოიუზზაგოტშერსტს" [illegible] და სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკურ კავშირებს, „სოიუზზაგოტშერსტთან" ხელშეკრულებების დადების წესით.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მუსაბეკოვი

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ი. [illegible]

1935 წ. 7 მარტი.
ტფილისი.

საბჭოთა კავშირი და გერმანია

7 მარტს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მ. მ. ლიტვინოვმა და გერმანიის ელჩმა გრაფმა ფონდერ შულენბურგმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის საფოსტო ამანათების გაცვლა-გამოცვლის შესახებ.

ხელმოწერილი შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას (ტას).

○ ○ ○

ფერმერების მიტინგი ხარისბურგში (ამერიკა). ფერმერები პროტესტს აცხადებენ ხორბლის ფართობის შემცირების წინააღმდეგ.

საბერძნეთის ამბები
აჯანყებულებმა აიღეს ახალი ქალაქები

ლონდონი, 7 მარტი. გაზეთების გადმოცემით, საბერძნეთში, [illegible] 10 ათასი აჯანყებულის წინააღმდეგ, თავმოყრილია მთავრობის 80 ათასი ჯარისკაცი. აჯანყებულთა წინააღმდეგ იერიში მიიტანეს თვითმფრინავების რაზმებმა, რომლებმაც გამოიყენეს ყუმბარები და ტყვიამფრქვევები. 30 თვითმფრინავი თავს დაესხა კავალას. მათ ყუმბარები და ტყვიამფრქვევები დაუშინეს სამხედრო გემებს ნავთსადგურში და ყაზარმებს, რომლებიც აჯანყებულების მიერ არის დაკავებული. „დეილი მეილის" სიტყვით, ათასობით რეკვიზირებულ სატვირთო ავტომანქანებს გუშინ გადაჰყავდა მთავრობის ჯარი ფრონტისაკენ.

„დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ როგორც ხმები დადის, სერესი ისევ აჯანყებულებმა აიღეს.

სალონიკთან სერიოზული [illegible] ბრძოლა. ქალაქებში გამოცხადდა სამხედრო წესები. სამხედრო მინისტრმა კონდილისმა გუშინ აღიარა, რომ [illegible], რომელიც ხელთ იგდეს აჯანყებულებმა, გუშინ ზარბაზნებს უშენდა სალონიკს, ხოლო შემდეგ მიიღო [illegible] ქალაქი [illegible] ათინიდან ჩრდილოეთით 150 მილის მანძილზე. ვენიზელოსის მომხრეთა ხელშია. ბულგარეთში შიშს იწვევს ის ფაქტი, რომ საბერძნეთ - ბულგარეთის საზღვარზე მდებარე ქალაქი [illegible] აჯანყებულთა ხელშია. „დეილი ტელეგრაფის" ათინელი კორესპონდენტის სიტყვით, მიუხედავად მტკიცებისა, რომ კრეტის კუნძულზე ჩაქრეს სამხედრო გემების აჯანყება, აჯანყებულმა გემებმა დასტოვეს კრეტის კუნძული და, როგორც ჩანს, უახლოვდებიან სალონიკს.

ვენა, 7 მარტი. „ნეიე ფრეიე პრესეს" ათინელი კორესპონდენტის სიტყვით, აჯანყებულთა მთავრობას კრეტის კუნძულზე ჰყავს 20 ათასზე მეტი კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი.

საბერძნეთის მთავრობამ მოახდინა ყველა სავაჭრო გემის, ავტობუსების და ავტომობილების რეკვიზიცია ჯარების გადასაყვანად. ყველა სკოლა და ბანკი დახურულია.

როდის ფიქრობს გერმანია საიმონის ნახვას

ლონდონი, 7 მარტი. „დეილი მეილის" სპეციალური კორესპონდენტი ბერლინში პრაისი იტყობინება რომ როგორც მას განუცხადეს გარეშე საქმეთა სამინისტროში, ოფიციალურ ცნობაში, თხოვნით საიმონის ჩამოსვლის გადადების შესახებ აღნიშნული იყო რომ „გერმანიის მთავრობას იმედი აქვს ინახულოს საიმონი ბერლინში, როცა ჰიტლერის ჯანმრთელობა გაუმჯობესდება".

„მანჩესტერ გარდიანის" ბერლინელი კორესპონდენტი წერს: რომ გერმანიის მთავრობას სურს მიიღოს ინგლისიდან „ბოლოს და ბოლოს რამდენიმე დამამშვიდებელი ცნობა მთავრობისა ან კიდევ „თეთრი წიგნის" განმარტება. მეორე საკითხი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს გერმანიის გადაწყვეტილებაზე, განაგრძობს კორესპონდენტი, მდგომარეობს იმაში გაემგზავრებიან თუ არა ინგლისის მინისტრები ბერლინიდან მოსკოვში (ტას).

მოლაპარაკება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის შესახებ

ტოკიო, 5 მარტი. გაზეთების უმრავლესობა იუწყება, რომ სარედაქციო კომისიის წევრები — კოზლოვსკის, კუზნეცოვის და იაპონელი ხიასის ექვსი საათის თათბირის დროს, რომელიც 4 მარტს შესდგა, „დამთავრდა შეთანხმების მუხლობრივი განხილვა“ და ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირსა, იაპონიასა და მანჯოუგოს შორის ძირითადი შეთანხმების და ოქმის პარაფირება მოხდება დაახლოებით 9 მარტს, და მაშინ მოხდება სარედაქციო კომისიის ლიკვიდაცია.

„იომიური“ ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის შესახებ შეთანხმების ოფიციალური ხელმოწერა მოხდება მარტის დამლევს, შესაძლებელია საპარლამენტო სესიის დამთავრების შემდეგ. სიმბუნ რენგოს სააგენტო აგრეთვე წერს, რომ „მანჯოურიის მთავრობა თავის სრულ გამგებლობაში მიიღებს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზას ჯერ კიდევ მარტის განმავლობაში მაშინვე, როგორც კი ხელმოწერილი იქნება შეთანხმება, რაც, როგორც მოელიან, უნდა მოხდეს მარტის დამლევს“.

„ნიჩი - ნიჩი“ ფიქრობს, რომ საიდუმლო საბჭო 20 მარტისათვის დაამტკიცებს იმ დოკუმენტებს, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ იაპონიასთან და, ამგვარად, შეთანხმების ხელმოწერა მოხდება 25 ან 26 მარტს. (ადს).

ანტისაბჭოთა წრეები მანჯურიაში არ ცხრებიან

ხაბაროვსკი, 5 მარტი. იმის გამო, რომ მოლაპარაკება აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის გაყიდვის შესახებ დასასრულს უახლოვდება, აგრესიული ანტისაბჭოთა წრეები ხარბინში გაძლიერებით ავრცელებენ ხმებს, რომ „წითელი მავნებლები“ ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის ამზადებენ ხიდების, გვირაბების და რკინისგზის სხვა ნაგებობათა აფეთქებას. ეს წრეები, რომლებიც ხედავენ, რომ დაიმსხვრა მათი იმედები გამოეყენებინათ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გასამწვავებლად, ახლა ცდილობენ გამოიყენონ მათ მიერვე გავრცელებული ხმები იმის საპროპაგანდოდ, რომ საჭიროა იაპონიის ჯარების გაძლიერება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე და საერთოდ ჩრდილოეთ მანჯურიაში. (ადს).

ირან--საბჭოთა კავშირის დაახლოება

თეირანი, 6 მარტი. 4 მარტს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში საბჭოთა კავშირის სუბტროპიკულ კულტურათა მთავარ სამმართველოს იმ კომისიის პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა კავშირში ბრუნდება, გაიმართა სადილი. კომისიამ, რომელშიაც შედიან სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი პერეპელიცა, აგრეთვე აზერბეიჯანის სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობების დირექტორი ემირ შახი, ირანის რაიონებში დაჰყო დაახლოებით ოთხ თვეს. მან შეასრულა თავისი ამოცანა — გასცნობოდა ირანის სუბტროპიკულ მეურნეობას, გამოცდილების გადმოტანის მიზნით, აგრეთვე შეეძინა საბჭოთა კავშირისთვის მეცნიერებისა და თესლის ნიმუშები. კომისიამ, რომელსაც დიდ მეგობრულ დახმარებას უწევდა ირანის მთავრობა, მტკიცე კულტურული და სამეცნიერო კავშირი დაამყარა სასწავლო და სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მუშაკებთან, აგრეთვე ირანის სოფლის მეურნეობის ცალკეულ მუშაკებთან.

სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოწყობილ გამოსათხოვარ სადილზე კომისია გაიცნეს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა სოხეილიმ, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა მოხელეებმა, სოფლის მეურნეობის მთავარ სამმართველოს უფროსის მოვალეობის აღმასრულებელმა სამიიმ, დოქტორმა ნაფისიმ, აგრეთვე თეირანის გაზეთების რედაქტორებმა. თავის სიტყვებში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პასტუხოვმა, აგრეთვე სოხეილიმ და სამიიმ აღნიშნეს ორ სახელმწიფოს შორის კულტურული და სამეცნიერო კავშირის განმტკიცება, რაც თანდათან გრძელდება და რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სამეცნიერო დელეგაციების გაცვლა-გამოცვლაში ფირდოუსის იუბილეს დროს სუბტროპიკულ კულტურების საბჭოთა სპეციალისტების კომისიის საქმიანობაში, მოსკოვის კინოფესტივალზე ირანის დელეგაციის დასწრებაში და ორივე ქვეყნის კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისადმი ურთიერთ ინტერესის საერთო გადიდებაში (ადს).

რიქშა სინგაპურის ქუჩაზე

საბჭოთა ქვეყანაში

თეატრის მუშაკები ამხ. მოლოტოვთან და ვოროშილოვთან.

მოსკოვი. 7 მარტი. სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რომელიც 9 მარტს სრულდება, ამხ. ვ. ი. მოლოტოვმა და კ. ე. ვოროშილოვმა 7 მარტს სახკომსაბჭოში მიიღეს ამ საზოგადოების წარმომადგენლები.

დელეგაციაში შედიოდნენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტები ამხ. ა. ა. იაბლოჩკინა, მ. მ. ბლიუმენტალ-ტამარინა, კ. ე. ძერჟინსკაია, პ. მ. სადოვსკი, ნ. ი. იაკოვლევი. მ. მ. ტარხანოვი, რ. ლ. ადელგეიმი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ამხ. ე. დ. ტურჩანინოვა, მ. ფ. ლენინი, ა. ი. ბახმეტიევი და საზოგადოების მდივანი ამხ. ვ. კ. გოშტოვტი (ადს).

ამხ. კაიტანოვის შესანიშნავი გადმოხტომა.

ლენინგრადი, 6 მარტი. საპარაშუტო სპორტის ოსტატმა მფრინავმა კაიტანოვმა, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა, 4 მარტს თვითმფრინავიდან პარაშუტით მოახდინა შესანიშნავი გადმოხტომა 6.800 მეტრის სიმაღლიდან. ამ შესანიშნავი გადმოხტომის შესახებ, ამხ. კაიტანოვმა შემდეგი განაცხადა:

— 4 მარტის ამინდი ხელს უწყობდა გადმოხტომას. იდგა მზიანი, ულრუბლო ამინდი. ჩვენ შევამოწმეთ თვითმფრინავი. მანქანას შესანიშნავად მართავდა მფრინავი სუხანოვი. მე ვიჯექი უკანა კაბინაში. როცა თვითმფრინავი ავიდა 6.800 მეტრის სიმაღლეზე, ამხ. სუხანოვმა მომცა სიგნალი გადმოხტომის შესახებ. მე გადავხადე ცელულოიდი. მიუხედავად დიდი სიმაღლისა, მიუხედავად იმისა, რომ ტემპერატურა იყო მინუს 41 ცელსიუსით, თავისუფლად ვსუნთქავდი და ვანიშნე ამხ. სუხანოვს კიდევ უფრო მაღლა აფრენილიყო. მან მანიშნა, რომ გაიყინებიო. მე დავჯექი კაბინის მარცხენა ბორტზე, მოვწყდი თვითმფრინავს, ორჯერ გავაკეთე სალტო-მორტალი ჰაერში და დავძვრე პარაშუტის რგოლი.

პარაშუტი ნელ-ნელა გაიშალა. მე ვირყეოდი იქით-აქეთ, ისე ვქანაობდი, რომ თითქმის სულ არ ვგრძნობდი სიცივეს. დასასრულ, ამხ. კაიტანოვი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ მოძებნა მან დასაშვები ადგილი ტყეში. გადმოხტომის [illegible]ტილიდან დაშვების ადგილამდე პარაშუტმა ის გატყორცნა 21 კილომეტრის მანძილზე.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვოდოპიანოვი და ლინდელი გაფრინდენ შმიდტის კონცხისაკენ.
სურათზე: ამხ. ვოდოპიანოვის და ლინდელის თვითმფრინავები სტარტზე მოსკოვში

ამხ. ვოდოპიანოვი გადაფრინდა ბაიკალზე.

მოსკოვი, 7 მარტი. როგორც საქ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა ჩრდილოეთის საზღვაო გზის უფროსმა ამხ. გ. ი. შევქლევმა, მფრინავები ვოდოპიანოვი და ლინდელი, რომლებიც ახდენენ გადაფრენას მოსკოვი-შმიდტის კონცხი, 7 მარტს 10 საათზე და 15 წუთზე მოსკოვის დროით დაეშვენ ჩიტის აეროდრომზე. გზა ბაიკალზე მათ განვლეს მოწმენდილ ამინდში 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე (ადს).

ამხ. ვოდოპიანოვი და ლინდელი გაფრინდენ ირკუტსკიდან

ირკუტსკი, 7 მარტი. დღეს დილის 6 საათზე (მოსკოვის დროით) მფრინავები ვოდოპიანოვი და ლინდელი გაფრინდენ ირკუტსკიდან. აქ ისინი ჩამოფრინდენ 5 მარტს საღამოს. კრასნოიარსკ - ირკუტსკის უბანზე გადაფრენის დაწყებიდან პირველად იდგა ხელსაყრელი ამინდი. ირკუტსკში მოხდა თვითმფრინავების და მოტორების გენერალური შემოწმება. (ადს).

ტიუმენ - მოსკოვის სათხილამურო გადარბენის მონაწილეთა მიღება ამხ. ვოროშილოვის მიერ

მოსკოვი, 7 მარტი. 5 მარტს თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხ. ვოროშილოვმა მიიღო მეთხილამურეები, რომლებმაც მოახდინეს გადარბენა ტიუმენი - მოსკოვი. მიღებას დაესწრნენ: ამხ. გამარნიკი, ეგოროვი, ალკსნისი, სედიაკინი, ხალეპსკი, ორლოვი.

★

მეთხილამურე ქალი ამხ. უგოლკოვა მოახსენებს თავდაცვის სახალხო კომისარს გადარბენის პირობების შესახებ: ფინიშთან ისე მივედით, რომ არავინ ჩამოვრჩენია. ჩვენს კომანდას სტარტი მისცეს 2 იანვარს 11 საათზე. ფინიშთან მივედით 22 თებერვალს 14 საათზე. 2.100 კილომეტრი განვლეთ 51 დღის განმავლობაში, აქედან 16 დღე მოვანდომეთ გაჩერებას და დასვენებას. ჩვენ გავიარეთ ჩვენი ქვეყნის ქალაქები და სოფლები. მუშებმა და კოლმეურნეებმა გვთხოვეს გადაგვეცა გულითადი სალამი ჩვენი ბელადის ამხ. სტალინისათვის.

ჩვენ გადასვლა დავამთავრეთ წარმატებით იმიტომ, რომ ჩვენს დივიზიაში კარგად არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა უფროსთა შემადგენლობის ცოლებს შორის. უფროსთა შემადგენლობის ცოლების, ომსკის ოლქის მებრძოლების და კომანდირების სახელით გილოცვთ თქვენ, ამხანაგო ვოროშილოვ, მხურვალე სალამს“.

ყურადღებით მოისმინა რა უგოლკოვას მოხსენება, ამხანაგმა ვოროშილოვმა მიულოცა მეთხილამურე ქალებს მათი ბრწყინვალე გამარჯვება. შემდეგ ამხ. გობარნიკი კითხულობს თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებას, რომელიც აღნიშნავს მეთხილამურე ქალების გამარჯვებას და უცხადებს მათ მადლობას. (ადს).

ს.ს.რ. კავშირის ცაკის დადგენილება

ტიუმენ - მოსკოვის სათხილამურო გარბენის მონაწილე ქალთა და ამ გარბენის ხელმძღვანელის ს. ს. რ. კავშირის ცაკის სიგელებით დაჯილდოების შესახებ

აღნიშნავს რა ტიუმენ - მოსკოვის სათხილამურო გარბენას (2.100 კილომეტრი), რაც განსაკუთრებული მოვლენაა საბჭოთა კავშირის ქალთა ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაში და რაც ჩაატარეს №-ის მსროლელთა დივიზიის მეთაურთა ცოლებმა, ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს

დაჯილდოებულ იქნან ს.ს.რ. კავშირის ცაკის სიგელებით ტიუმენ - მოსკოვის სათხილამურო გარბენის მონაწილე ქალები — №-ის მსროლელთა დივიზიის მეთაურთა ცოლები ამხ. ფინაიდა ირდუგანი, ნინა უგოლნიკოვა, ტაისია ვაგინა, კლავდია დიაჩენკო, ამავე დივიზიის პოლიტგანყოფილების სტამბის მუშა ქალი ამხ. ვერა ფლიტინა და გარბენის ხელმძღვანელი — იმავე დივიზიის უმცროსი მეთაური ამხ. ნ. ფ. კარტალოვი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **მ. კალინინი**.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — **ი. აკულოვი**.

მოსკოვი, კრემლი
7 მარტი 1935 წელი.

სოხუმის გამწვანება

სოხუმში ფართო მუშაობა გაიშალა ქალაქის რეკონსტრუქციისათვის. მთავრდება კანალიზაციის მშენებლობა, წარმოებს ქუჩების მოკირწყვლა და გუდრონირება, სახლების ფასადების მხატვრული გაფორმება და სხვ.

უახლოეს დღეებში დაიწყება მუშაობა სოხუმის გამწვანებისათვის ქალაქის 13 ქუჩაზე და ათონის და სინოპის გზატკეცილებზე დარგული იქნება პალმები, ევკალიპტები, აკაცია, ფეიხოია და სხვა.

მკვეთრად შეიცვლება ჩერნიავის მთის კალთები. მის ჩრდილოეთ კალთებზე დარგული იქნება კვიპაროსები და ალვის ხეები. სამხრეთ და დასავლეთ ფერდობზე გაშენდება ციტრუსოვანი ნარგავები, რიცხვით 12.000 ძირი.

ქალაქის გამწვანების მთელი სამუშაოები დამთავრდება გაზაფხულზე.

საბჭოთა კონტროლის კომისიაში

დასავლეთის ოლქის [illegible]

მოსკოვი, 7 მარტი დასავლეთის ოლქის დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი სისტემატიურად ღებულობდა კოლეგიის წევრებად ანტისაბჭოთა, ბოროტმოქმედ და გახრწნილ ელემენტებს. კოლეგიაში, ფაქტიურად, გაუღეს კარი მსჯავრდადებულებს, აპარატიდან გაწმენდილებს, საკ. კ.პ. რიგებიდან გარიცხულ ტროცკისტულ ზინოვიევურ ელემენტებს, განკულაკებულთა, ვაჭართა, კულტის მსახურთა წრიდან გამოსულ პირებს, მექრთამეებს, გამფლანგველებს და დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი მხარს უჭერდა რა მათ, ამავე დროს სდევნიდა საბჭოთა ახალგაზრდა სპეციალისტებს. კოლეგიის შემადგენლობიდან რიცხავდენ ისეთ პირებს, რომლებიც აკრიტიკებდენ და ამჟღავნებდენ პრეზიდიუმის დანაშაულებრივ მოქმედებას.

ამასთან ერთად დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი იტაცებდა და აჩიავებდა საზოგადოებრივ სახსრებს. 1933-34 წლებში ყოველგვარი აპარატის შესანახად, თვითდამარაგებაზე, დაჯილდოებაზე, საოლქო სასამართლოს და იუსტიციის ცალკეული მუშაკებისათვის და სხვ. ფულის „სესხად“ მიცემის სახით გამოყენებულ იქნა 180 ათას მანეთზე მეტი. ასევე გაანიავეს 400 ათასი მანეთი დამცველთა ადგილობრივმა კოლექტივებმა სარევიზიო კომისია რომელიც ფულად საჩუქრებს ღებულობდა, ფარავდა ამ დანაშაულებრივ მუშაობას.

დასავლეთის ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა რომელთანაც, ჰყოფება დამცველთა კოლეგია გვერდი აუარა ამ დანაშაულებრივ საქმიანობას. იგი ჩქმალავდა და უარყოფდა და ამის გამო მიცემულ ათეულ სწორ სიგნალებს დამცველთა კოლეგიის ხელმძღვანელობა არსებითად ხელთ იგდეს მტრულად განწყობილმა ელემენტებმა.

საბჭოთა კონტროლის კომისიის ბიურომ მიიღო ცნობად, რომ შემოწმების შედეგად, საბჭოთა კონტროლის კომისიის წარმომადგენლის ინფორმაციის შემდეგ საკ. კ.პ. (ბ) დასავლეთის ოლქის საოლქო კომიტეტის ბიურომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც:

დასავლეთის ოლქის დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისია დაშლილია, პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის წევრები ტიხონოვი, ლიუბომუდროვი, ფრუნკინი, ნეზლობინა, ლოგუნოვი, ვორონინი, შნეიდმანი, ლუცკერი, გულბიცკი და ტეტერინი მიცემული არიან სამართალში.

ტარდება დამცველთა შემადგენლობის პერსონალური შემოწმება.

საოლქო სასამართლოს წევრი ი. კ. ნაუმოვი, რომელმაც შეამოწმა, მაგრამ არ გამოამჟღავნა დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის ანტისაბჭოთა მუშაობა, გაირიცხა საკ. კ.პ. (ბ) რიგებიდან და მოხსნილია სამუშაოდან.

საოლქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კრუგელი და სასამართლოს ახლანდელი თავმჯდომარე ადრიანოვი მიცემული არიან პასუხისგებაში.

დასავლეთის ოლქის დამცველთა კოლეგიის შემოწმების შედეგები საბჭოთა კონტროლის კომისიამ აცნობა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს.

ხელოვნების მუშაკები საკოლმეურნეო მინდვრებზე

განსახკომი რაიონებში გზავნის 10 კულტბრიგადას

საქართველოს განათლების კომისარიატმა დიდი მუშაობა გაშალა საგაზაფხულო თესვის კამპანიის კულტურული მომსახურებისათვის.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის განმავლობაში იმუშავებს 400 წითელი კუთხე, იხსნება 10 ახალი საკოლმეურნეო კლუბი, ფართოვდება 50 არსებული კლუბი. დადგმული იქნება 300 ახალი რადიო წერტი.

ადგილებზე იგზავნება 10 კულტურული ბრიგადა.

კოლმეურნეობებში კონცერტების მოსაწყობად აღმოსავლეთ საქართველოში იგზავნება ჩონგურზე დამკვრელთა ანსამბლი, აღმოსავლური ტრიო და ბაჭკირიას გუნდი, ხოლო დასავლეთ საქართველოში —სატირის თეატრი, ვოკალური კვარტეტი და საკონცერტო ანსამბლი, ტფილისის თეატრები აწყობენ მხატვრულ ბრიგადებს საგარეუბნო კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის.

სახელმწიფო ოპერა აწყობს ორ ბრიგადას, თითო ბრიგადას აწყობენ სომხური, თურქული და რუსული თეატრები. საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა და ტფილისის კონსერვატორიამ გამოყვეს ექვსი მუსიკოსი ადგილობრივ თვითმოქმედ წრეების მუშაობის გასაძლიერებლად.



მაუდის ფაბრიკის მემანქანე, დამკვრელი კომკავშირელი ქალი ოლია პეტრიაშვილი სართავ მანქანასთან.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის მე-7 მოწვევის ცაკის მე-2 სესიის დადგენილება

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის 1935 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის და ბიუჯეტის შესახებ

1935 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ხაზით

დამტკიცდეს ამიერ - კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შედგენილი და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის 1935 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის პროექტი.

1. განისაზღვროს 1935 წლის გეგმით ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის საერთო პროდუქციის გამოშვება (1926-27 წლების უცვლელ ფასებში) 2.152,4 მილიონი მანეთის ოდენობით რაც 1934 წელთან შედარებით იძლევა ზრდას 17.8 პროც.; აქედან რესპუბლიკური და ადგილობრივი საერთო პროდუქციისა — 406,2 მლნ. მან. ზრდა 23.5 პროც. 1934 წელთან შედარებით.

2. დამტკიცდეს საწარმოო დავალებანი მრეწველობის ძირითად დარგებში შემდეგი რაოდენობით:

1. ელექტროენერგიის გამომუშავება სულ 1469 მილ. კილოვატსაათი.
2. ნავთი გადამუშავებული 22 მლნ. ტონა,
ხოლო გაზით — 23.510 ათასი ტონა.
3. ქვანახშირი 475 ათასი ტონა
4. მარგანეცი (საქონლო მადანი) 1.150 ათასი ტონა.
5. ფერომარგანეცი 75,6 ათასი ტონა.
6. სპილენძი შავი 5.2 ათასი ტონა.
7. მანქანათმშენებლობა 31,3 მილ. მან.
8. [illegible] 2.055 ათასი ტონა.
9. ცემენტი 325,6 ათასი ტონა.
10. საქმიანი მერქანი (გამოზიდვა) 531,1 ათასი კუბ. მეტრი.
11. შეშა (გამოზიდვა) 571,2 ათასი კუბ. მეტრი.
12. სახერხი მასალა 231,4 ათასი კუბ. მეტრი.
13. ბამბეულის ქსოვილები (ხამი) 51.683,2 ათასი მეტრი.
14. შალის ქსოვილები 1,727 ათასი მეტრი.
15. აბრეშუმის ქსოვილები (ხამი) 2.640 ათასი მეტრი.
16. საპონი (40 პროცენტზე გადაყვანით) 13.200 ტონა
17. ფეხსაცმელი 2.607,5 ათასი წყვილი.
18. ფქვილი 312,6 ათასი ტონა.
19. თევზი - დაჭერა 608.8 ათასი ცენტნერი.
20. კონსერვი 43.100 ათასი პირობ. ქილა.

3. დამტკიცდეს 1935 წლისთვის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა ამიერ - კავკასიის რკინისგზაზე 2.020 ვაგონისა და საერთო ტვირთბრუნვა 1935 წლისთვის 11.115 ათასი ტონის რაოდენობით.

4. დამტკიცდეს ა.-კ. სფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებათა საერთო მოცულობა 1.133. 63 მილიონი მანეთის რაოდენობით; აქედან რესპუბლიკურ და ადგილობრივ დაქვემდებარების მეურნეობაში 267,99 მილიონი მან.

5. დამტკიცდეს ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის სათესი ფართობის საერთო მოცულობა 1935 წლის მოსავლისთვის 2.398,26 ათასი ჰექტარის რაოდენობით (ჯასულ წლების ზალაჟების გარდა), აქედან:

აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკაში 1.076.99
სომხეთის ს.ს. რესპუბლიკაში— 396,76
საქართველოს ს.ს. რესპუბლიკაში 924.51

6. სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ოდენობა გადიდდეს 26,8 პროც. და საერთო საქონელბრუნვა ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკაში 1935 წელს აყვანილ იქნას 3.625,3 მილიონ მანეთამდე.

ა.-კ. ს. ფ. ს, რესპუბლიკის 1935 წლის ბიუჯეტის ხაზით

დამტკიცდეს ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის 1935 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ—გასავალთა ჯუმლი 885.511 ათასი მანეთის რაოდენობით.

შემოსავალი:

ა. გასაზოგადოებული მეურნეობის შემოსავალი:

1. ბრუნვის გადასახადი 639.947 ათ. მან.
აქედან ბამბის ანარიცხები 5.200 ათ. მან.
აქედან ნავთის ანარიცხები—21.000 ათ. მან.
აქედან თამბაქოს ანარიცხები 1.345 ათ. მან.

2 მოგების ანარიცხები:
ა) მძიმე მრეწველობის 600 ათ. მან.
ბ) მსუბუქი მრეწველობის 700 ათ. მან.
გ) კვების მრეწველობის 44 ათ. მან.
დ) სოფლის მეურნეობის 10.230 ათ. მან.
ე) ვაჭრობის 1.067 ათ. მან.
ვ) დანარჩენ საწარმოების 4.313 ათ. მან.
სულ მოგების ანარიცხები 16.954 ათ მან.

3. სხვადასხვა გადასახადი:
ა) სასოფლო - სამეურნეო გადასახადი კოლმეურნეობებისა 4.800 ათ. მან.
ბ) გადასახადი საბჭოთამეურნეობებისა 660 ათ. მან.
გ) საშემოსავლო გადასახადი კოოპ საწარმოებისა 1.170 ათ. მან.
დ) გადასახადი არასაქონლო ოპერაციებზე 12.050 ათ. მან.
სულ სხვადასხვა გადასახადი 18.680 ათ. მან.

4. საკ. პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტის მიერ სოცდაზღვევის სახსრებიდან გადმორიცხული თანხები — 69030 ათ. მან.

სულ განსაზ. მეურნეობის ხაზით 744.611 ათ. მან.

ბ. მოსახლეობის სახსრების მობილიზაცია:
1. მასობრივ სახელმწიფო სესხების გავრცელებისაგან — 44.850 ათ. მან.
2. გადასახადები და გამოსაღები:
ა) სასოფლო - სამეურნეო გადასახადი კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მეურნეებისა — 43,000 ათ. მან.
ბ) გამოსაღები კულტმშენებლობის საჭიროებისათვის ქალაქში — 21,100 ათ. მან.
გ) გამოსაღები კულტმშენებლობის საჭიროებებისათვის სოფლად 27.700 ათ. მან.
დ) ერთდროული გადასახადის ნარჩენი 250 ათ. მან.
ე) სხვადასხვა გადასახდელის ნარჩენი .1500 ათ. მან.
სულ გადასახადები და გამოსაღები 93.550 ათ. მან.
სულ მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის ხაზით 138.400 ათ. მან.
გ) დანარჩენი შემოსავალი 2.500 ათ. მან.

სულ შემოსავალი 885,511 ათ. მან.

გასავალი:

ა) სახალხო მეურნეობაზე
1. მძიმე მრეწველობა 16.210 ათ. მან.
2. მსუბუქი მრეწველობა 23.490 ათ. მან.
3. კინო - ფოტო მრეწველობა 12.906 ათ. მან.
4. სატყეო მრეწველობა 3.800 ათ. მან.
5. კვების მრეწველობა 1.434 ათ. მან.
6. დანარჩენი მრეწველობა 650 ათ. მან.
სულ მრეწველობის ხაზით 58.490 ათ. მან.
7. სოფლის მეურნეობა 42.592 ათ. მან.
8. კომუნალური მეურნეობა 4.600 ათ. მან.
9. სახელმწიფო ვაჭრობა 14.476 ათ. მან.
10. საგზაო მეურნეობა 9.080 ათ. მან.
11. დანარჩენი ხარჯები სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხაზით 15.214 ათ. მან.
სულ სახალხო - მეურნეობის დაფინანსების ხაზით 144.452 ათ. მან.

ბ) სოციალურ კულტურული ღონისძიებანი:
1. განათლება 181.689 ათ. მან.
2. ჯანმრთელობის დაცვა 56.492 ათ. მან.
3. ფიზკულტურა 1.500 ათ. მან.
4. სოციალური უზრუნველყოფა და შრომის დაცვა 5.200 ათ. მან.
სულ სოციალურ - კულტურულ ღონისძიებათათვის — 244.881 ათ. მან.

გ) მმართველობა.
სახალხო მეურნეობის მართველობა, რეგულიარება სოცკულტურული მუშაობის ადმინისტრირება. 20.561 ათ. მან.

დ) სხვა ხარჯები:
1. სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდი. 11.000 ათ. მან.
2. სხვა ფონდები. 11.952 ათ. მან.
3. დამატებითი ხარჯები ხელფასისათვის 41.310 ათ. მან.
სულ სხვა ხარჯები. 64.262 ათ. მან.

ე) სახსრები, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტებს უნდა გადაეცეს.
1. ანარიცხები სახელმწიფო შემოსავლიდან. 365.155 ათ. მან.
2. ბრუნვის გადასახადი. 365.155 ათ მან.
3. სახსრები სოცდაზღვევისაგან. 46 200 ათ. მან.
სულ ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გადასაცემი სახსრები. 411.355 ათ. მან.

სულ გასავალი 885.511

ვ) დამტკიცდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტების ჯუმლი 1935 წლისათვის საერთო საბიუჯეტო ჯამში (ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასარიცხავ თანხების გამოკლებით):

აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით	156.703 ათასი მანეთი
სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით.	72.904 ათასი მანეთი
საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით.	194.777 ათასი მანეთი
ფედერატიული ბიუჯეტით.	49.772 ათასი მანეთი
სულ	474.156 ათასი მანეთი

3. დამტკიცდეს ანარიცხები ადგილობრივ ბიუჯეტებში, რომლებიც ტარდება ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტების მეშვეობით, შემდეგი თანხის ოდენობით (ათას მანეთებში):

აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით.	181.267
სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით.	55.482
საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით.	174.556
ფედერატიული ბიუჯეტით.	50
სულ.	411.355

4. დაევალოს ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დაამტკიცოს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა ბიუჯეტებში ბრუნვის გადასახადის ანარიცხების პროცენტები 1935 წლისათვის ბრუნვის გადასახადის გეგმის ჯამის შეფარდებით, რომლებიც შეტანილია აღნიშნულ რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტების ჯუმლში (ბამბის, ნავთის და თამბაქოს სპეციალური ანარიცხების გამოკლებით—ათას მანეთებში).

აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით	209.391
სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით.	93.175
საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით.	262.783
ფედერატიული ბიუჯეტით.	47.053
სულ.	612.402

5. ს. ს. რ. კავშირის მე-7 მოწვევის ცაკის მიერ „1935 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ მიღებულ დადგენილებასთან შეფარდებით, დაწესდეს ამ წლისათვის გადასახადების და გამოსაღებთა შემოსავლის შემდეგი განაწილება ბიუჯეტებს შორის:

ა) აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიებზე შემოსულ სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან რესპუბლიკურ ბიუჯეტებს და ამ რესპუბლიკათა ადგილობრივ ბიუჯეტებს გადაეცეს 100 პროცენტი;

ბ) აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიებზე ქალაქებში საბინაო და კულტურული მშენებლობის საჭიროებისათვის შემოსული გამოსაღებიდან 50 პროცენტი გადაეცეს საერთო საკავშირო ბიუჯეტს და 50 პროცენტი — რესპუბლიკურ ბიუჯეტებს და ამ რესპუბლიკათა ადგილობრივ ბიუჯეტებს:

გ) სასოფლო ადგილებში კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის შემოსულ გამოსაღებიდან აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს გადაეცეს 100 პროცენტი;

დ) კინო - თეატრების ბრუნვის გადასახადის და არასასაქონლო ოპერაციების გადასახადის სახით შემოსული თანხები მთლიანად გადაეცეს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ე) გაგრძელდეს 1935 წლისათვის არსებული სპეციალური ანარიცხები რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ბოჭკოვანი ბამბის ბრუნვის გადასახადისაგან 100 მანეთის რაოდენობით თვითეული დამზადებული ტონადან; ნავთის (გაზთან ერთად). — 1 მანეთის ოდენობით თვითეული ამოღებულ ტონადან და თამბაქოს (აფხაზეთის და აჭარისტანის ა. ს. ს. რესპუბლიკებისათვის) — 190 მანეთის ოდენობით თვითეულ დამზადებულ ტონადან;

ვ) ნავთის ბრუნვის გადასახადის სპეციალურ ანარიცხებიდან, რომლებიც აზერბეიჯანის ს. ს რესპუბლიკის ბიუჯეტში გადადიან 1 მანეთის ოდენობით თვითეულ ტონადან, დაწესდეს მათ შორის ანარიცხები ბაქოს საბჭოს ბიუჯეტში ტონიდან 70 კაპეიკის ოდენობით სოციალურ - კულტურული და საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განსახორციელებლად ქალაქ ბაქოში.

6. დაწესდეს 1935 წლისათვის შემდეგი ანარიცხები სახელმწიფო მასობრივი სესხებიდან აზერბეიჯანის ს. ს რესპუბლიკის, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში:

ა) 1934 წლის გამოშვების სახელმწიფო მასობრივი სესხებიდან მუშათა და მოსამსახურეთა შორის რეალიზებული სესხის თანხის 15 პროცენტი გადაეცეს ამ რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს და 10 პროცენტი — ადგილობრივ ბიუჯეტებს; დანარჩენი მოსახლეობას შორის რეალიზებული სესხის თანხიდან—25 პროცენტი გადაეცეს ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ბ) 1935 წლის ქალაქისა და სოფლის მუშებსა და მოსამსახურეებს შორის და ქალაქის დანარჩენ მოსახლეობას შორის რეალიზებულ სახელმწიფო მასობრივი სესხებიდან 15 პროცენტი გადაეცეს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკურ ბიუჯეტებს და 10 პროცენტი — მათ ადგილობრივ ბიუჯეტებს; კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის რეალიზებულ სესხის თანხიდან 50 პროცენტი გადაეცეს ადგილობრივ ბიუჯეტებს.

7. ჯარიმებიდან შემოსულ ყველა შემოსავალი, რომელიც 1935 წლამდე გადაირიცხებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში, 1935 წლის 1 იანვრიდან მთლიანად გადაირიცხოს საერთო საკავშირო ბიუჯეტში.

აღინიშნოს, რომ ა. კ. ს. ფ. ს რესპუბლიკის ფინსახკომმა ვერ განახორციელა 1933 და 1934 წლებში სათანადო მეთვალყურეობა ბიუჯეტის შესრულებისადმი, რის შედეგად ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის მთელ რიგ შემთხვევებს.

დაევალოს ა.-კ. ს. ფ. ს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს მიიღოს გადამჭრელი ზომები 1935 წლის ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაობაში არსებულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და მკაცრი საბიუჯეტო დისციპლინის დასამყარებლად.

დამკვრელ კოლმეურნეობათა მეორე საკავშირო ყრილობის შემდეგ

„მე ვესაუბრე ამხ. სტალინს"

(ლოგუჯოეთი. ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეები დაძაბული ყურადღებით უსმენდენ მოხსენებელს. ისმენდენ მახარაძეს, რომელიც დაწვრილებით მოუთხრობდა მათ დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს: იგი აღტაცებით ლაპარაკობდა ბელადებთან შეხვედრაზე, დედაქალაქზე, ქარხნებსა და ფაბრიკებზე, ისტორიულ მეტროზე. საბჭოთა ხელისუფლების მიერ აგებულ უზარმაზარ შენობებზე, იმაზედ, თუ რა მონაწილეობა მიიღო საქართველოს კოლმეურნეთა დელეგაციამ ახალი სანიმუშო წესდების შედგენაში.

— მე ვესაუბრე ჩვენ საყვარელ ბელადს ამხ. სტალინს ის ქართულად გველაპარაკა და დაწვრილებით გამოგვკითხა, თუ როგორ ვმუშაობთ, როგორ ვცხოვრობთ და რა გვაკლია. სტალინმა გულდასმით მოისმინა თვითეული ჩვენი სიტყვა.

— აჭარისტანის კოლმეურნეთა სახელით ყრილობას ჩვენ შევპირდით — მივცეთ ქვეყანას, მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, — ლაპარაკობს ისკენდერი და მოუწოდებს კოლმეურნეებს კეთილსინდისიერად და მონდომებით იმუშაონ ამ დაპირების შესასრულებლად, კიდევ უფრო გაძლიერონ მუშაობა ჩაისა და ციტრუსების მაღალი მოსავლის მოსაყვანად.

— მოიწონეს ჩვენი მუშაობა!

— რა თქვეს ყრილობაზე საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ?

— ვინ არ მიიღება კოლმეურნეობაში?

— რა დაადგინეს დეზერტირებთან ბრძოლის შესახებ?

— მოეწყობა თუ არა ჩვენთან სამ. სატრ. სადგური?, — ასეთ შეკითხვებს აძლევდენ მომხსენებელს დამსწრე კოლმეურნეები.

ქალთა შორის განსაკუთრებით დიდი აღტაცება გამოიწვია სანიმუშო წესდების იმ ნაწილმა, სადაც ლაპარაკია ფეხმძიმე და ძუძუმწოვარი ქალების შესახებ.

ადგილობრივ ენაზე (ქართულად და თათრულად) სანიმუშო წესდება წაიკითხა და დაამუშავა ქობულეთის რაიომასკომის თავმჯდომარემ ამხ. მამუდ ჟურმუბაძემ.

კოლმეურნეობა „განთიადის" წევრთა საერთო კრებამ მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებები მიიღეს სანიმუშო წესდების დამუშავებასთან დაკავშირებით.

კოლმეურნეობა „განთიადმა" — სახელმწიფოს შარშან 47,000 კ. გრ. ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა. მისმა წევრებმა იკისრეს — ეს რაოდენობა აიყვანონ 74,000 კილოგრამამდე, ხოლო საიქტარო მოსავალი გასული წლის 2.100 კილოგრამიდან გაზარდონ 2.500 კილოგრამამდე, საკუთარი სანერგიდან მეზობელ კოლმეურნეობებს გადასცენ 22.000 ძირი ციტრუსოვანების ნერგი, განსაზოგადოებული პირუტყვისათვის ააგონ საერთო ბოსელი.

საერთო კრებამ გადასწყვიტა — წელსვე ააგონ მცირეძალოვანი ელსადგური და მოაწყონ ქუჩების, და ყველა კოლმეურნეთა ოჯახის ელექტრონით განათება.

კოლმეურნეობამ პირნათლად გაანაღდა დაპირება იმის შესახებ, რომ დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატის დაბრუნებას შეხვედროდენ ვალდებულებების შესრულებით. 5 მარტისათვის კოლმეურნეობას მანდარინისათვის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებული ჰქონდა 200 პროც., ლიმონისათვის — 150 პროც. ტუნგოსათვის — 175 პროც.

ამავე რიცხვისათვის შესრულებული იყო აგრეთვე სუბტროპიკული სანერგეების, ტრიფოლიატის და ბოსტნის ნიადაგის მომზადების გეგმები.

ტ. ავანელი.

სოფ. ბუკნარი.

დიდი სახსოვარი

(სიღნაღის რაიონი)

სოფ. ნუკრიანის „პარიზის კომუნის" სახელობის კოლმეურნეობის კანტორის წინ, ეზოში, 12 საათისათვის დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. აქ უკლებლივ იყვნენ კოლმეურნეობის წევრები, აგრეთვე მშრომელი ერთპიროვნული გლეხები. გლეხი ქალები ძუძუმწოვარა ბავშვებით, ყველა მათგანს აინტერესებდა მოსკოვიდან დაბრუნებულ დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობის დელეგატის ნახვა, მასთან საუბარი.

— მოსკოვიდან ახლად ჩამოსულა!

— ყრილობაზე იყო!

— სტალინი უნახავს!

— სტალინთან უსაუბრია!

— მაშ!

— ბედნიერი კაცი ყოფილა!

ჩურჩულებდენ კრების დაწყებამდე თავმოყრილი კოლმეურნეები და მშრომელი გლეხები.

გაიხსნა კრება. ყრილობის დელეგატი ამხ. ვასო ყოჩიაშვილი აღტაცებული ესაუბრება დამსწრეებს, თუ როგორ იმგზავრა მან საქართველოდან — მოსკოვამდე.

— დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე საბჭოთა კავშირის დედაქალაქმა — მოსკოვმა. იქ არის უზარმაზარი ქარხნები, ისეთი ქარხნები, რომლებშიც მთელი ჩვენი რაიონის მცხოვრებლებზე მეტი ხალხი მუშაობს. მე ვნახე დიდი თეატრი, მიწის ქვეშ ელექტრო - მატარებელი...

ამხ. ვასო ყოჩიაშვილი, არჩეული იყო საკავშირო ყრილობის დელეგატად.

— შარშან, წლის ბოლოს, რამდენი მიიღეთ შრომა-დღეზე?

— ხუთმეტი კილო.

სტალინმა გაიღიმა და მხნედ მითხრა — „ყოჩაღ"!

ეს სიტყვები გულში აღმიბეჭდა, ამ სიტყვების შემდეგ შრომის უნარი ერთი-სამად მომემატა. ბედნიერი უნდა იყოს ის, რომელიც ამხანაგ სტალინისაგან ასეთ დიდ სახსოვარს მიიღებს.

როდესაც ყრილობაზე წესდების ... დაგვირიგეს, წინასწარ ამხ. სტალინმა გაგვაფრთხილა: „დაწვრილებით წაიკითხეთ, და თუ რაიმე წინადადება გექნებათ, ზოგიერთი მუხლის შესაცვლელად, წამოაყენეთ თქვენი ლონისძიებებიო".

— სტალინი არ ნახე? — შეაწყვეტინა დელეგატს სიტყვა ერთმა ახალგაზრდა კოლმეურნემ.

— როგორ არა, ვნახე. სტალინი ყრილობის ყოველ სხდომას ესწრებოდა, თავისუფალ დროს ჩამოდიოდა ჩვენთან დარბაზში და გვესაუბრებოდა. გვეკითხებოდა, რომელ რაიონიდან, რომელი სოფლიდან, რომელი კოლმეურნეობიდან ხართ, როგორ ცხოვრობენ ჩვენი კოლმეურნეები და სხვ.

მაშინ როგორც მე, ისე სხვა დელეგატებმაც შევიტანეთ ჩვენი წინადადებები, მაგალითად: წესდების პროექტში გათვალისწინებული იყო კოლმეურნე მშობიარე ქალის განთავისუფლება უფრო მოკლე ხნით, ვიდრე ახლა არის. ეს შევცვალეთ ახალი წინადადებით. ცვლილებები შევიტანეთ საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფისა და მესაქონლეობის საკითხებშიც.

წესდების გამომმუშავებელ კომისიაში მეც ამირჩიეს. მართალია, ამხ. სტალინი ყრილობაზე სიტყვით არ გამოსულა. მაგრამ კომისიის მუშაობას ის ხელმძღვანელობდა. წესდების ცალკეული მუხლის გარჩევაში, ის დიდ მონაწილეობას იღებდა. **მთელი წესდება შედგენილ იქნა სტალინის უშუალო ხელმძღვანელობითა და მითითებით.**

ყრილობის დასასრულს, — ამბობს ყოჩიაშვილი, — ამხ. სტალინმა, კალინინმა და კაგანოვიჩმა ჩვენთან ერთად გადაიღეს სურათი.

ჩვენ, დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის დელეგატებმა, ავიღეთ ვალდებულება კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის, თვითეული კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევისათვის. — ამით დაამთავრა ამხ. ვასომ თავისი საუბარი.

*

საუბრის დამთავრების შემდეგ კრებაზე წაკითხულ იქნა სას. - სამეურნეო არტელის ახალი წესდება. წესდების გარჩევისას კოლმეურნეების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის საკითხმა.

ალ. ვვინჩიძე.

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის საგანგებო სხდომა

მოსკოვი, 7 მარტი. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის სხდომა 7 მარტს გახსნა ამხ. **ტაშ-ნაზაროვმა** (თურქმენისტანი). კამათში პირველად სიტყვა ეძლევა ამხ. **კორაბელნიკოვს**, რომელიც ეხება იმ მწერლების მუშაობის შედეგებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ „სამოქალაქო ომის ისტორიის" და „ფაბრიკების და ქარხნების ისტორიის" შექმნაში. იგი აღნიშნავს, რომ ძირითადი მეთოდი უნდა იქნეს კოლექტიური ლიტერატურული მუშაობა. რაც საშუალებას მოგვცემს ავითვისოთ უდიდესი ისტორიული მასალა, რომელიც მოიპოვება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

— ჩვენი მწერლების უძრაველესობას, — ამბობს ამხ. **კოცუბინსკი** (უკრაინა), — ჯერ კიდევ არ აქვს გათვალისწინებული „სამოქალაქო ომის ისტორიის" და „ფაბრიკების და ქარხნების ისტორიის" შექმნის, მთელი მნიშვნელობა. ამავე დროს სწორედ ამ მონუმენტალურმა ნაშრომებმა უნდა მისცეს ახალ თაობებს მუშათა კლასის გმირული წარსულის ამაღლებელი და მკაფიო სურათი.

ამბების ზედმიწევნითი დოკუმენტაციის, საარქივო მასალების გულდასმით შესწავლის და ოქტომბრის ბრძოლების უშუალო მონაწილეთა მოგონებების ორგანიზაციის საკითხებს ძიღვნა თავისი გამოსვლა ამხ. აროსევმა.

ამხ. **შკაპსკაია** ხაზს უსვამს ცოცხალ ადამიანებთან უძლიერესი კავშირის აუცილებლობას და მოგვითხრობს, როგორ მუშაობდა ავტორთა კოლექტივი ლენინგრადის კარლ მარქსის სახ. ქარხნის (ყოფ. ლესნერის) ისტორიის შექმნაზე.

პლენუმის მონაწილეები გულთბილად ხვდებიან დამწყებ მწერალი ქალის ურალის ძველი მუშის ამხ. **კოროვაევოვას** გამოსვლას რომელმაც პლენუმს უამბო, როგორ მუშაობს იგი მასალაზე, რომელიც შეაგროვა თავისი ხანგრძლივი და ამბით ძლიერი ცხოვრების მანძილზე. ამხ. კოროვაევამ წაიკითხა თავისი მოთხრობა აჭედლებისა და ძელურმხედებზე. დაწერილი მამის მოგონებათა და პირადად მისი ბავშვობის შთაბეჭდილებათა მიხედვით.

შემდეგ გამოდის ამხ. **ი. ლიბედინსკი**, რომელიც მოუთხრობს, როგორ იყენებს საწარმოს ისტორიაზე მომუშავე მწერლის შემოქმედებითი ფიზიონომია.

ვს. ვიშნევსკიმ თავისი სიტყვა მიუძღვნა თანამედროვე ლიტერატურის საკითხებს ... ძიდან მოუწოდა მწერლებს და კრიტიკოსებს ზედმიწევნით შეისწავლონ ფსიქოლოგია და ტაქტიკა ჩვენი მტრებისა, რომლებიც აწყობენ ახალ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხ. ძიხიცის და ვს. ივანოვის მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ძალელი (უზბეკისტანი), სეიფულინი (კაზაკსტანი), მუშკაროვი („ფაბრიკების და ქარხნების ისტორიის" ძირითადი რედაქცია) და კინო-რეჟისორი დოვჟენკო.

პლენუმმა მიიღო მისალმებები ამხანაგ **სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის და ვოროშილოვის** მიმართ, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მსვლელების შემდეგ პლენუმმა განაახლა თავისი მუშაობა ამხ. შჩერბაკოვის თავმჯდომარეობით და მიიღო რეზოლუცია ყველა მოსმენილი მოხსენების გამო.

მქუხარე ტაშით შეხვდა პლენუმი ამხ. ა. მ. გორკის რომელმაც წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა პლენუმის მონაწილეები ფეხზე ადგომით ესალმებიან ალექსეი მაქსიმოვიჩს და აცილებენ მას ტრიბუნიდან.

ა. მ. გორკის საბოლოო სიტყვის შემდეგ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მეორე პლენუმმა დაამთავრა თავისი მუშაობა (ტას).

წერილები გვპასუხობენ

საუკეთ ფუჭად გადაქცეული არტელი

— რატომ არ უნდა მიმიღონ კოლმეურნეობაში, რა დამიშავებია, ძალა მაქვს და ღონე, მიწა მაქვს და სამუშაო იარაღები. —ასე ეკითხებოდა ღარიბ გლეხებს ამბროლაურის მცხოვრები **ლავრენტი ლაიშვილი**. „არ მიგიღებენ იმიტომ, რომ სპეკულაციას ეწევი. მამაშენი მავსილია და კულაკი". —ასე უპასუხებდენ კოლმეურნე გლეხები.

არ მიიღეს ლ. ლაიშვილი კოლმეურნეობაში 1930 წელს იმიტომ, რომ კულაკი, მავსიელი იყო და რამდენიმე ხელოსანს ამუშავებდა ფეხსაცმელების სახელოსნოში. ლაიშვილი კოლმეურნეობაში არ მიიღეს, მაგრამ ის მაინც შედგრა და თავს არხეინად გრძნობს. რადგანაც კოლმეურნეობის წევრია. პატარა ხნის შემდეგ ერთი დუქანი კოლმეურნეობის გამგეობის აჩუქა და ამით მისი გული მოიგო. ... დუქანი ფეხსაცმელების სარეწაო არტელს გადაეცა და ამავე არტელში წევრად მიიყო თავი, რის შემდეგ ლავრენტს ამავე არტელის გამგეობის თავმჯდომარედ ქმნიდა ... კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ სოფ. ... კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ წამოსკუპდა და მალე პარტიაშიც ჩაიგდო ხელში.

კოლმეურნეობა და სარეწაო არტელი ლაიშვილმა საწყალ ფუჭად გადაქცია. ... ფაქტებიც: 1933 წლის სარეწაო არტელის დავალიანება 465 მანეთი ლ. ლაიშვილზე დღესაც ირიცხება; 1934 წლის დავალიანება კი 904 მანეთს უდრის და ... თავისაც არ იწუხებს: როგორც ფაქტები მეტყველებენ 1934 წელში სარეწაო არტელის სასადილო და სახაზო დავალიანება 1200 მანეთი, რაოდენობით დღესაც არ აქვს გასტუმრებული, ამას გარდა სასადილოს ... ლაიშვილმა მიისაკუთრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფეხსაცმელების სარეწაო არტელი გეგმას 60 პროცენტითაც ვერ ასრულებს. მუშები სახელოსნოებს გარბიან არავინ არ ზრუნავს მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. — და ასეთ პირობებში ხომ ზედმეტია ლაპარაკი შრომის ხარისხზე.

ლაიშვილს საზოგადოებრივი ქონების გაძარცვებისათვის სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ნოე შარაშიძე.

გამოხმაურება გამოუქვეყნებელ წერილებზე

ვინ მფარველობს ბენდელიანს

„კომუნისტის" რედაქციამ ამ სათაურით გ. წ. 5 ნოემბერს მიიღო წერილი წერილის ავტორი **ჩხოროწყუს** რაიონის ექიმ ბენდელიანს ბრალს დებდა მიწის მითვისებაში.

„კომუნისტის" რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჩხოროწყუს რაიპროკურორს, რომელმაც გვაცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა, რის გამო მიიცეს ... პასუხისგებაში.

ვაჟარი ფარმაცევტი

„კომუნისტის" რედაქციამ ამ სათაურით გ. წ. 9 ოქტომბერს მიიღო წერილი წერილის ავტორი **სოფ. ლესიჭინეს** (ჩხოროწყუს რაიონი) საექიმო პუნქტის ფარმაცევტ **რაჟდენ შენგელაიას** ბრალსდებდა წამლების ზედმეტ ფასებში გაყიდვას.

„კომუნისტის" რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჩხოროწყუს რაიპროკურორს, რომელიც გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და რ. შენგელაია მიცემულია სასამართლოში.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„კომუნისტის" გ. წ. 4 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი **სოფ. ფასანაურის** (დუშეთის რაიონი) სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე **ისიდორე ტუხაშვილის** შესახებ წერილში აღნიშნული იყო, რომ ტუხაშვილმა გაფლანგა სახელმწიფო თანხა ... რაოდენობით.

საქ. რესპუბლიკის პროკურატურა გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა ისიდორე ტუხაშვილს მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თავის დელეგატის მოლოდინში

შეაკეთეს გზა, გააკეთეს ახალი ხიდი

მახარაძე, 4 მარტი. გურიანთის კოლმეურნეობის წევრები მოუთმენლად ელოდენ თავისი დელეგატი ქალის **ელენე აროშიძის** დაბრუნებას დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობიდან.

26 თებერვალს, საღამოს, ელენე აროშიძე დაბრუნდა ყრილობიდან. სიხარულით უყურებდა იგი გზაში, სადგურიდან მომავალი, კოლმეურნეობის სიუცხოვოდ გათოხნილ ჩაის პლანტაციებს, თისვისათვის მომზადებულ მინდვრებს. იგი მიდიოდა იმ გზით, რომელიც ახლად იყო შეკეთებული მისი ჩამოსვლისათვის. კოლმეურნეებმა, რომლებიც თავისი დელეგატის ჩამოსვლისათვის ემზადებოდენ, **ხრეში მოაყარეს გზას 3 ½ კილომეტრის მანძილზე. ააგეს ახალი ხიდი.**

საღამოს კოლმეურნეობის გამგეობაში ელენემ გააკეთა პირველი საანგარიშო მოხსენება ყრილობის მუშაობის შესახებ, კანტორაში შეკრებილ კოლმეურნეთა მისალმების შემდეგ, ელენემ, სანამ იგი ლაპარაკს დაიწყებდა, მოისურვა გაეგო თუ რას აკეთებდენ კოლმეურნეები მისი აქ არ ყოფნის დროს, როგორ მუშაობდა მისი ბრიგადა.

— ჩვენ შემოვაკავეთ 424 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. დავამზადეთ 200 ტონა სასუქი და ხვალიდან დავიწყებთ მის გატანას პლანტაციებზე, — აცნობა მას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. გარდა ამისა, კულტივაციებზე სამუშაოდ ჩვენ შევიძინეთ 6 ცხენი. ჩვენმა კოლმეურნეობამ იკისრა ვალდებულება გაადიდოს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა შარშანდელ მიღებული 1.100 კილოგრამის ნაცვლად, 1450 კილოგრამამდე.

ხვალ შენთან ერთად დავიწყებთ ჩაის ბუჩქების შეკრეჭას — დაამთავრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

ამხ. ელენე აროშიძე

ელენემ დაწვრილებით უამბო კოლმეურნეებს ყრილობის მუშაობის შესახებ. აგრეთვე მოსკოვის ამბავი, სხვა მხარეებისა და ოლქების საუკეთესო დამკვრელ კოლმეურნეებთან შეხვედრის, ყრილობაზე კოლმეურნე ქალების გამოსვლის ამბავი და უჩვენა მათ ყრილობის დელეგატების ფოტოგრაფიული სურათები. სიამაყით და აღფრთოვანებით შეხვდენ კოლმეურნეები საყვარელი ბელადის სურათს, რომელიც გადაღებულია საქართველოს კოლმეურნეობათა დელეგაციასთან ერთად.

კოლმეურნეები სთხოვენ უფრო დაწვრილებით უამბოს ამხანაგ სტალინის შესახებ. ელენე უამბობს თუ რა ყურადღებით ისმენდა დიდი ბელადი კოლმეურნეების მიერ ნათქვამ თვითეულ სიტყვას, რა მონაწილეობას ღებულობდა წესდების შემმუშავებელი კომისიის მუშაობაში და რა ბრძნული შენიშვნები და შესწორებები შეჰქონდა მას.

თუმცა ამხანაგი სტალინი ყრილობაზე არ გამოსულა, მაგრამ ჩვენ ყოველ წუთში ვგრძნობდით მის ზრუნვას და ყურადღებას საკოლმეურნეო ცხოვრების თვით წვრილმან საკითხებზედაც კი.

ჩვენი წესდება — მთლიანად სტალინური წესდებაა, ვინაიდან ჩვენი ბელადი ჩვენთან ერთად იმუშავებდა წესდების თვითეულ პუნქტს. ჩვენ ახლა მთლიანად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში ეს წესდება და მოკლე ვადაში გადავაქციოთ ჩვენი კოლმეურნეობები სანიმუშო კოლმეურნეობებად. ჩვენ უნდა დავიპყროთ აგროტექნიკას, ვიბრძოლოთ მაღალი მოსავლიანობისათვის, შეძლებული კოლმეურნეობისათვის.

განსაკუთრებით შეჩერდა ელენე ქალთა შრომის გამოყენებაზე. მან გადასცა კოლმეურნეებს სხვა რაიონებისა და ოლქების გამოცდილება ამ საქმეში. ჩვენ სხვა კოლმეურნეობების მაგალითის მიხედვით უნდა მოვაწყოთ ჩვენს კოლმეურნეობაში საბავშვო ბაგები და საოჯახადო ... რათა ჩვენს ქალებს საშუალება მიეცეს დამშვიდებით იმუშაონ მინდვრად.

— ამაზე უკვე ვიზრუნეთ — უპასუხეს კოლმეურნეებმა. კოლმეურნეობაში ვაწყობთ მუდმივ ბაგებს და ორ სეზონურ ბაგის გახსნება ... სამუშაოების დროისათვის.

საკოლმეურნეო თათბირზე

ქუთაისში

4 მარტს ქუთაისში შესდგა სოფლის საბჭოს თავმჯდომარეების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, პარტორგანიზატორის და სოფლად მომუშავე ამხანაგების თათბირი, სადაც განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდება.

თათბირზე სას.-სამეურნეო არტელის ახალი წესდების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მიწსახკომის თავმჯდომარე ამხ. გ. მგალობლიშვილი.

— ამხ. გ. მგალობლიშვილმა ვრცლად გააშუქა სას.-სამეურნეო არტელის ახალი წესდების უდიდესი მნიშვნელობა და კონკრეტულად განუმარტა დამსწრეებს ის მუხლები, რომლებიც, ზოგიერთ ამხანაგებში გაუგებრობას იწვევდა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა გამოცვლა. თათბირზე სიტყვით გამოვიდა — დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატი ამხ. **იონა ფეხტვენიძე** (კოლმეურნეობა „წინსვლა").

თათბირის დასასრულს ამხ. გ. მგალობლიშვილმა ამომწურავი პასუხი გასცა სას.-სამ. არტელის ახალი წესდების გამო შეტანილ შეკითხვებს... დასასრულ, თათბირი გაეცნო საქ. კ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის დადგენილებას წესდების დამუშავების და ჩატარების წესებს. ქალაქკომმა ამ მიზნით სოფლად გაგზავნა ქალაქის პასუხისმგებელი მუშაკები.

ვ. ლალიაშვილი.

კასპის მტს-ის ტრაქტორისტები მინდვრად გასვლის წინ კითხულობენ დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მასალებს.

მოვითხოვთ სამკუთხედის გადახალისებას

(მუშების წერილი)

ქვემოდ ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს, რომელიც უეჭველად მიგვიყვანს შემდეგ დასკვნამდე: ამ ზერიან სახ. ... გონების შემკეთებელი ქარხნის სადურგლო სამქროს არ ჰყავს რიგიანი ხელმძღვანელები.

სამქროს შენობის ფანჯრების მინები ჩამტვრეულია ქარი შიგ თავისუფლად ქრის, ზამთრის შემთხვევები, რომ მუშები დაზგებს თავს ანებებენ და გასათბობად აგიზგიზებულ ძიქებთან.

1931 წ. მიღებული დაზგა № 564 დღემდე არაა ამუშავებული. დაზგა № 572 არ ... უქმად დგას. ზოგიერთი მოწყობილობის უქონლობის გამო გაფუჭებულია რამდენიმე დაზგა.

ხის მასალა ცის ქვეშ ყრია, ამჟამს და ფუჭდება.

ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ, რომ სადურგლო სამქროს სამკუთხედი უსულგულოდ მიეპყრა ამავე სამქროს მუშას, დაზგების მეთვალყურეს კედლის გაზეთის რედაქტორს ამხ. დალაქიშვილს. ვინაიდან ... ორჯერ გაფუჭდა დაზგები ამხ. დალაქიშვილი იძულებული გახდა შეეტანა განცხადება სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ. სამკუთხედმა, იმის ნაცვლად, რომ ... და მის ადგილზე ნაკლებ კვალიფიციური ბერიტაშვილი დაინიშნა.

ჩვენ ვაყენებთ საკითხს ასეთი სამკუთხედის გადახალისების შესახებ.

ნ. ჩიქოვანი.

ლ. ფირცხალაური

ისელიძე.

მეტი ყურადღება ხე-ტყის დამზადებაზე პარტიულ-მასობრივ მუშაობას

საქართველოს სატყეო მრეწველობა მთელ რიგ წლების განმავლობაში ვერ ასრულებს თავის საწარმოო პროგრამას. ხე-ტყის დამზადების 1934 წლის გეგმა შესრულებულია 90,5 პროცენტით, გამოზიდვის გეგმა—73,8 პროც. და დაცურების — 43,4 პროცენტით.

წლიური გეგმის შეუსრულებლობასთან ერთად, საქართველოს სატყეო ტრესტი 1935 წელში შევიდა 3.665 ათასი მან. ზარალით, 4.490 ათასი მანეთის დანაკარგით და 3.224 ათასი მანეთის დავალიანებით მუშათა შრომის ხელფასის დარგში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ გადაწყვეტილებაში სავსებით სწორად მიუთითეს გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებზე, აღნიშნეს რა სატყეო მრეწველობის მუშაკების მიერ მექანიზაციის როლის შეუფასებლობა, „ანტიმექანიზაციური ტენდენციები", შრომის ხელფასის დარგში არსებული გათანაბრება, ტრესტების ფორმალურ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობა ძირეულ ხე-ტყის დამამზადებელ პუნქტების მიმართ, უგულებელყოფა მუშა-ხელის ორგანიზებულად შეგროვებისა კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების და ამ ხელშეკრულებათა შესრულების საფუძველზე, მუშებს და საინჟინრო - ტექნიკური პერსონალის არადამაკმაყოფილებელი კულტურულ - საყოფაცხოვრებო და მატერიალური მომსახურება და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს მითითებანი სავსებით და მთლიანად ეხებიან საქართველოს სატყეო მრეწველობას, სადაც ტრანსპორტის მექანიზებულობა 1934 წელს გამოყენებულია 15—16 პროცენტით, საცაც კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეებთან ხელშეკრულებანი მუშახელის და საპაპანო ტრანსპორტის მიწოდების შესახებ დადებულია ფორმალურად, მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად, ხოლო დადებული ხელშეკრულებანი შესრულებულია მხოლოდ 50—51 პროცენტით.

საქართველოს სატყეო მრეწველობის ესოდენ საგრძნობი ჩამორჩენა ზემოთაღნიშნული მიზეზების გარდა, გამოწვეულია აგრეთვე იმით, რომ ხე-ტყის დამზადებებზე და დაცურებაზე ნათლად არ აქვთ გაგებული პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურის საკითხი. სატყეო სამუშაოების სპეციფიკური პირობები ხე-ტყის დამამზადებელი რაიონების პარტორგანიზაციათა წინაშე აყენებს პირველადი პარტორგანიზაციებს ისეთი სტრუქტურის გამომუშავების ამოცანას, რომელიც უზრუნველყოფს პარტიის და კომკავშირის უკლებლივ ყველა წევრის და კანდიდატის პარტიულ - მასობრივ მომსახურებას და სატყეო მრეწველობის მთელი მუშათა მასის პარტიული გავლენის ქვეშ მოქცევას. ეს საკითხი გადაჭრილია მხოლოდ მექანიზებული ტრანსპორტის დარგში, სადაც პარტიის წევრები და კანდიდატები — შოფერები, მექანიკოსები, ზეინკლები და მერემონტე მუშები, მუშაობენ რა ერთ გარაჟში, გაერთიანებული არიან პარტჯგუფებში, და რადგან უმთავრესად რაიონულ ცენტრებში იმყოფებიან, მათ ხელმძღვანელობას უწევენ რაიკომები. მით უმეტეს, რომ ისინი, როგორც კვალიფიციური კადრი, ცოტად თუ ბევრად უფრო მუდმივ კონტინგენტს შეადგენენ. საქმე ეხება სწორედ ტყის მუშებს და მუშებს, როგორიც არიან: ხის მომჭრელები, გადამზიდავები, ტყის მცველები, საუბნო მეტყევეები და სხვ., ე. ი. ძირითადი მასა სატყეო მრეწველობაში და ხე-ტყის მეურნეობაში.

საქართველოს პირობებში არ შეიძლება ერთბაშად დაისვას საკითხი ხე-ტყის დამზადებათა პარტორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ, რადგან ეს სტრუქტურა შეიძლება დაისახოს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს პარტიული ფენის საკმაო პროცენტი ხე-ტყის მრეწველობის მუშათა საერთო რიცხვიდან. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს კახეთის ხე-ტყის დასამზადებელ უბნიდან. ცის სატყეო სამრეწველო მეურნეობა ხე-ტყის დამზადებას აწარმოებს „ამ ტერიტორიალური რაიონის — თელავის, გურჯაანის და ყვარლის ტყეებში, ამასთან, წლის სხვადასხვა პერიოდში მთელი სამუშაო ძალა ერთი რაიონიდან გადაჰყავთ მეორე რაიონში, ე. ი. ერთი და იგივე მუშაკები და მუშები წლის განმავლობაში 4—5-ჯერ იცვლიან სამუშაო ადგილს. შედეგად ვღებულობთ დენადობას, რადგან მოცემული რაიონის მუშა, რომელსაც აქვს საშუალება მუშაობის დამთავრების შემდეგ სახლში დაბრუნდეს და ღამე გაათიოს, შორეულ რაიონში აღარ მიდის. ამგვარად დღეს მოწყობილი პარტჯგუფი 1—2 თვის შემდეგ იშლება და ისმება ახალ უბანზე ახალი პარტჯგუფის მოწყობის საკითხი. რაც, იქვს გარეშია, შეუძლებლად ხდის პარტიულ მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად დაყენებას.

ასეთსავე მდგომარეობას ვხედავთ ტფილისის სატყეო - სამრეწველო მეურნეობაში და სხვა მეურნეობებში.

ამ დარგში პარტიულ - მასობრივი მუშაობის სათანადოდ დაყენებას უმთავრესად ხელს უშლის პარტიელთა ძირითადი ბირთვის უყოლობა ერთ განსაზღვრულ უბანზე. არ შეიძლება მაგალითად პარტჯგუფის მოწყობა ვარდისუბნის აგარაკზე, სადაც 50 მუშაში (სეზონური) არის მხოლოდ 1—2 პარტიელი. ასეთივე მდგომარეობაა ახმეტაში, აკურაში, ჩათახში, ხრამზე და სხვ. პარტიელთა უფრო საგრძნობი ნაწილი მუშაობს სატყეო მეურნეობაში. ეს ტყის მცველები, საუბნო მეტყევეები და უფროსი ტყის მცველები, მომსახურებას უწევენ რა ათასობით ჰექტარებს, თვითეული მათგანი ერთიმეორისაგან დაშორებულია ათეული კილომეტრებით. აი რატომ არის შეუძლებელი მათი ერთ სატყეო პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანება. ხოლო მათთან, როგორც ერთეულებთან, მუშაობა შეუძლებელი ხდება, რადგან ისინი თითქმის ყველანი ერთეულები არიან გარდა იმათი, ვისაც საშუალება აქვს იცხოვროს სოფელში და შედიოდეს სოფლის პარტიულ ორგანიზაციაში სატყეო მრეწველობაში ისეთი პარტიული ორგანიზაციების შესაქმნელად, როგორიც ჩვენ მოგვეპოვება მრეწველობის სხვა დარგებში, საჭიროა ამიერ - კავკასიის სატყეო ტრესტმა და ს. ს. რ. კ. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რეკომენდებულის სამმართველომ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში გაატარონ შესაფერი ღონისძიებანი ჯერ ერთი, საჭიროა სატყეო მრეწველობას სთხოვდენ არა ცვალებად მრეწველობად, არამედ სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად და უმნიშვნელოვანეს დარგად. ამის მიხედვით საჭიროა თანდათანობით შეიქმნას ხე-ტყის მუშათა ძირითადი მუდმივი კადრი 40—50 პროცენტით შეიძლება მიმაგრებული იქნან ეს მუშები განსაზღვრულ უბნებზე, რათა არ ხდებოდეს მათი ერთი უბნიდან მეორეში გადაყვანა წელიწადში 4—5-ჯერ. ამის მიღწევა შეიძლება სწორი დაგეგმვის და მტკიცე საექსპლოატაციო უბნების დასახვის საფუძველზე. სატყეო მრეწველობის მუშათა მუდმივი კადრების შექმნა მრავალმხრივ დამოკიდებულია იმაზე, რომ სატყეო მრეწველობის ხელმძღვანელებმა და პარტიის რაიკომებმა ხე-ტყის დამამზადებელ უბნებზე შექმნან პარტიული ბირთვი. ჩვენ იქ საკმაო რაოდენობით არ მოგვეპოვება პარტიელები, რომელთა გარშემო შეგვეძლოს უპარტიო მუშათა მასის დარაზმვა. ჩვენ არადამაკმაყოფილებლად გვაქვს მოწყობილი პოლიტიკურ - მასობრივი მუშაობა სატყეო მრეწველობის მუშების ასაზრდელად. ან სწორედ ამიტომ ტერიტორიალურმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განამტკიცონ ეს უმნიშვნელოვანესი უბანი პარტიელებით, უნდა მოახდინონ მათი მობილიზაცია და გაგზავნონ ისინი ტყეში მუდმივი მუშაობისათვის.

ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის პირობებში საჭიროა უახლოეს მომავალში მივაღწიოთ პარტიული და პარტიულ - კომკავშირული ჯგუფების შექმნას ყველა ხე-ტყის დამამზადებელ პუნქტში, რომელიც ტერიტორიალურ პარტიულ ორგანიზაციებიდან პარტიის საუკეთესო წევრები უნდა გაიგზავნონ ხე-ტყის დამზადებებზე ხის მომჭრელებად, გადამზიდავებად, ათისთავებად და ბრიგადირებად. 1—2 ასეული პარტიელი მთელ საქართველოში ხე-ტყის დამზადებებზე უკვე არსებულ პარტიელებთან ერთად უზრუნველყოფენ პარტიული ფენით ხე-ტყის დამამზადებელ პუნქტებს. ეს პარტიული ჯგუფები უნდა მუშაობდენ სათანადო ტერიტორიალურ რაიკომების უშუალო ხელმძღვანელობით. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მსხვილი სატყეო სამრეწველო მეურნეობების სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელშიაც შედის სამი და უფრო მეტი ტერიტორიალური რაიონი, გვყოლოდა ერთი სატყეო ინსტრუქტორი. მაგალითად: კახეთის სატყეო სამრეწველო მეურნეობა აერთიანებს ხუთი რაიონის — თელავის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ყვარლის და სიღნაღის რაიონების ტყეებს და წლის განმავლობაში ხე-ტყის დამზადებას აწარმოებს ამ რაიონში. განა არ შეიძლება გვყავდეს ერთი ვთქვათ სატყეო რაიონთაშორისო ინსტრუქტორი, რომელიც აწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ პარტიულ - მასობრივ მუშაობას ხე-ტყის დამზადებებზე და ანგარიშს ჩააბარებს სათანადო ტერიტორიალურ რაიკომებს? ჩვენს პირობებში ეს აუცილებელია. რადგან რაიკომებს არ შეუძლიათ ჰყავდეთ ცალკე სატყეო ინსტრუქტორები ამ მრეწველობის დაბალი ხვედრითი წონის გამო რაიონში, აგრეთვე არსებული ინსტრუქტორების გადატვირთვის გამო. იგივე შეიძლება გატარდეს ტფილისის სატყეო - სამრეწველო მეურნეობაში და ინგურზე, რომელთა სამოქმედო არეში შედის 4—5 რაიონი.

პარტიული ფენის სათანადოდ გაძლიერების გარეშე, ხე-ტყის დამამზადებელ პუნქტებში, პარტიული სტრუქტურის ორგანიზაციის და გარკვეული პარტიული გავლენის გარეშე შეუძლებელია სატყეო მრეწველობის გამოყვანა გარღვევიდან.

ლ. ხოჯამიროვი.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

მეთექვსმეტე ტურის შედეგები

სხვაზე ადრე დამთავრდა გოგლიძე — ლასკერის პარტია. ლასკერმა შავებით აირჩია მიღებული ლასიეკეს გამბიტი. რამდენიმე ფიგურის გაცვლით პარტია ენდშპილში გადავიდა. აქ ლასკერმა გამოიჩინა ენდშპილის უდიდესი ოსტატობა და მისი ახალგაზრდა მოწინააღმდეგის ყოველმა ცდამ პარტიის გადასარჩენად უნაყოფოდ ჩაიარა. პარტია მოიგო ლასკერმა.

სასტიკი იეროში შექმნა შტოლბერგმა კაპაბლანკას წინააღმდეგ კაპაბლანკას პოზიცია თითქოს განადგურება ელოდა. მაგრამ მსოფლიო ექსჩემპიონმა გამონახა პარტიის გადასარჩენი ერთად-ერთი გზა. პარტია ყაიმით დამთავრდა.

შვეციის ჩემპიონი გ. შტოლბერგი

მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დასრულდა ლევენფიშ - ფლორის პარტიაც.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ბოტვინიკმა რამდენიმე ფიგურის შეწირვით გამოიყვანა ცენტრში მისი მოწინააღმდეგის ჩეხოვერის მეფე. ჩეხოვერი შამათის მუქარის ქვეშ იძულებული შეიქმნა დანებებულიყო.

რაგოზინ — პირცის პარტიაში შეიქმნა უაღრესად რთული მდგომარეობა. რომელშიაც კარგად გაერკვა რაგოზინი და ლამაზი კომბინაციით მოიგო პარტია.

რომანოვსკიმ მოიგო რაბინოვიჩს, შპილმანმა — ვერა მენჩიკს.

ლისიცინ — კანის და ალატორცევ — ბოგატირჩუკის პარტიები გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. გადაიდო აგრეთვე რიუმინ — ლილიენტალის პარტიაც ლილიენტალისათვის რამდენიმედ უკეთეს მდგომარეობაში.

მეთექვსმეტე ტურის შემდეგ ტურნირის მდგომარეობა ასეთია: ბოტვინიკი+11½, ფლორი+10½ (1 გად.), ლასკერი+10½, ლევენფიში+10, კაპაბლანკა+9½, რაგოზინი და შპილმანი+9. რომანოვსკი+8½, რაბინოვიჩი+8. კანი+7½ (2 გად.). რიუმინი და ლილიენტალი+7½ (1 გად.), გოგლიძე+7 (1 გად.), ალატორცევი+6½ (2 გად.). ლისიცინი+6 (3 გად.). შტოლბერგი+6½. პირცი+6 (1 გად.). ბოგატირჩუკი+5½ (1 გად.) ჩეხოვერი+5. მენჩიკი+1½.

9 მარტს მოხდება გადადებულ პარტიების დამთავრება.

10 მარტი დასვენების დღეა. მორიგი მეჩვიდმეტე ტური გათამაშდება 11 მარტს.

ქართული ფილმი „პრომეთე" მზადდება „უკრაინფილმის" კიევის ფაბრიკაში. რეჟისორი კავალერიძე, ოპერატორი—ტომჩი.
სურათზე: ერთ-ერთი კადრი ფილმიდან.

საბჭოთა კულტურულ ვაჭრობის განმტკიცებისათვის

(საქკვებვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი)

6 და 7 მარტს ტფილისში გაიმართა საქკვებვაჭრობის სარაიონო განყოფილებების მმართველთა, ტფილისის სავაჭრო ქსელის მუშაკთა, საქვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის და პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირზე მოსმენილი იქნა ... ამხ. დ. ქურულიშვილის მოხსენება საბჭოთა კულტურული ვაჭრობის ... შესახებ და საქკვებვაჭრობის დირექტორის ამხ. ი. ... მოხსენება საქკვებვაჭრობის სისტემაში 1934 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და მიმდინარე წლის პერსპექტივების შესახებ.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. თურქია (საქვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ც. კ.), ამხ. ქეთოშვილი, რუბინიძე, ლ. ქორქაშვილი, ბაბუშვილი, რობაქიძე და სხვ. სულ ... ამხანაგი.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ... საქკვებვაჭრობა ... 1934 წლის 12 მარტს) ... სისტემაში ... გასული წლის ... 196 წერტილი 1935 წლის 1 იანვრისათვის უკვე 260 წერტილია. საქკვებვაჭრობის ... წელს მიაღწია 109.7 პროც. ხოლო სოფლის სამეურნეო პროდუქტების ... 37 პროცენტით გადაჭარბებით.

მიღწევებს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ... 4.37 პროცენტის ... გასულ წელს შემცირებულია 3.75 პროცენტამდე.

საქკვებვაჭრობის მუშაობაში ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს სარაიონო განყოფილებების ... სისუსტე-დეცენტრალიზებული შესყიდვის ... (დეცენტრალიზებული შესყიდვა საქკვებვაჭრობის სისტემაში 5—6 პროცენტს არ აღემატება).

... საქონლის ... გეგმით გათვალისწინებულ 2.311.3 ათასი მანეთის ნაცვლად პირველ იანვრისათვის საქონლის ... 6.195.2 ათას მანეთს.

ამის შედეგი ის გარემოება, რომ საქკვებვაჭრობის ქუთაისის, სიღნაღის, ოზურგეთის, ზამთრის ბორჯომის, სამტრედიის განყოფილებებში გასულ წელს საქონლის ბრუნვის გეგმა ვერ შეასრულეს.

სარაიონო განყოფილებათა საქმიანობის საგრძნობ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ არ არის მოწესრიგებული ... ადგილებზე და ანგარიშგება დირექციის წინაშე. ზოგი სარაიონო განყოფილება (გორი) სრულიად არ წარმოუდგენს დირექციას სტატისტიკურ ცნობებს დროზე, რაც მეტად აძნელებს ადგილებისათვის ნაყოფიერ ხელმძღვანელობის გაწევას.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად და კულტურული ვაჭრობის განსამტკიცებლად თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები და სარაიონო განყოფილებებს მისცა სათანადო მითითებები.

მიმდინარე წლის განმავლობაში საქკვებვაჭრობა რაიონებში გახსნის 20 ახალ ... კადრების ... ტფილისში და ... რაიონებში მოიწყობს მოსამზადებელ და ... კურსებს. ამავე ... ცალკე წერტებში ჩამოყალიბებული იქნება ტექნიკური წრეები. ერთი თვის განმავლობაში საქკვებვაჭრობის დირექცია პროფორგანიზაციასთან ერთად შეამოწმებს თავისი წერტების მუშაკთა ...

დასასრულ თათბირზე ... იქნა საქკვებვაჭრობის დირექციის დადგენილება საუკეთესო სარაიონო განყოფილებებისა და დამკვრელი მუშაკების დაჯილდოების შესახებ.

გეგმების საუკეთესოდ შესრულებისა და მუშაობის ... დაყენების ... საქკვებვაჭრობის ახალციხის განყოფილება დაჯილდოებულია გარდამავალი წითელი დროშით და ... ამ განყოფილების გამგე ამხ. ... და მთავარი ბუღალტერი ამხ. ...შვილი—თითო თვის ხელფასით. ამავე განყოფილების დამკვრელ მუშა-მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად გადადებულია 1000 მანეთი.

ფოთის განყოფილების გამგე ამხ. ... და უფროსი ბუღალტერი ამხ. ... დაჯილდოებულნი არიან თითო თვის ხელფასით, ხოლო განყოფილების დამკვრელ მუშაკთა დასაჯილდოებლად გადადებულია 500 მანეთი.

დაჯილდოებული არიან აგრეთვე შიათურის განყოფილების მმართველი ... და ბუღალტერი, ... დამკვრელი მუშები, ... საქკვებვაჭრობის ... უფროსი ბუღალტერი და საქკვებვაჭრობის ტფილისის №—10 და № 8 მაღაზიების დამკვრელები.

ალპინისტების სკოლა წითელი არმიის სახლთან

6 მარტიდან ტფილისის წითელი არმიის სახლთან გაიხსნა ალპინისტების სკოლა ტფილისის გარნიზონის ნაწილებისათვის. მეცადინეობა წარმოებს გამოსასვლელ დღეებში.

1 5 მაისამდე ჩატარდება ჯგუფური ასვლა ... და მყინვარწვერზე.

სკოლის ხელმძღვანელად მოწვეულია ცნობილი ალპინისტი, პამირის ექსპედიციის მონაწილე დ. წერეთელი.

სკოლა გამოუშვებს ალპინიზმის ინსტრუქტორებს კავკასიის წითელდროშოვან არმიის ნაწილებისათვის.

რატომ არ სრულდება დადგენილება?

ფიზიკურმა თერაპიამ (ფიზიკური მეთოდებით მკურნალობამ), საბჭოთა მედიცინის ამ ახალგაზრდა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანმა დარგმა უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. ეს მიღწევები მოპოვებულია ტექნიკური შესაძლებლობის ... ძნელია ყველა მათის ჩამოთვლა, რასაც ახლა იძლევა ტექნიკა პრაქტიკულ მედიცინისათვის. მარტო დიაგნოსტიკის დარგში არსებობს ... არსენალი აპარატურისა, რომელიც საშუალებას იძლევა შევიჭრათ სნეულების პროცესის ყველაზე ღრმა მხარეებში ... მიკროსკოპი, რენტგენი ... ...

მრავალი ასეთი ძვირფასი აპარატი მოიპოვება ქუთაისის ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტს ... წელიწადია, რაც ეს ინსტიტუტი არსებობს და დღემდე ... 340.000-ზე ავადმყოფმა გაიარა ... აღსანიშნოთ, რომ ქუთაისის ინსტიტუტისათვის მოწყობილი რენტგენის კაბინეტი ბევრი არ მოიპოვება ამიერკავკასიაში.

ინსტიტუტი, რომელიც თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურება, ... ბინის ... გამო მთელი ... აპარატურა გამოუყენებელია ... (ჰიდროთერაპევტიული განყოფილების მოწყობილობა და სხვ.) ... ... ავადმყოფთათვის, რომელიც ... ვერ ... ... (სტაციონარში 15 საწოლია). მით უფრო, რომ ... განყოფილება ქალაქში არ არსებობს არსად, გარდა ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტისა.

ამავე დროს იმ შენობის ნახევარი, სადაც ინსტიტუტია მოთავსებული, სხვა ორგანიზაციას უჭირავს ... ყოფილა მიღებული საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის დადგენილება ამ ორგანიზაციის სხვა შენობაში გადაყვანისა და მისი ბინის ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტისათვის გადაცემის შესახებ, მაგრამ ეს დადგენილება ქაღალდზე რჩებოდა.

ბოლოს, საკითხი მივიდა საქ. ცაკის პრეზიდიუმამდე, რომელმაც 1933 წლის მარტში დაავალა ქუთაისის საბჭოს გაანთავისუფლოს ბინა ფიზიო-თერაპევტიულ ინსტიტუტისათვის. ორი წელიწადი შესრულდა ამ დადგენილების მიღებიდან. მის შესრულებაზე კი არავინ ზრუნავს.

— „ამხანაგებო რაიაღმასკომებიდან, ქალაქის საბჭოებიდან და სოფლის საბჭოებიდან. მე მინდა, რომ დაიხსომოთ შემდეგი ჩემი თხოვნა, რომელიც დამყარებულია ადგილობრივი საავადმყოფოების ხელმძღვანელთა მრავალ წერილზე.

არ შეიძლება საავადმყოფოს დატოვება უშეშოთ და უსინათლოდ.

არ შეიძლება საავადმყოფოს თანხების შეჩერება და სხვა მიზნებისათვის გამოყენება.

არ შეიძლება საავადმყოფოებისათვის საშენი მასალის წართმევა.

— ასეთი თხოვნით მიმართა საბჭოების სრულიად რუსეთის მე-16 ყრილობაზე დელეგატებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. კამინსკიმ.

ამ სამართლიან თხოვნას ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია დავუმატოთ, რომ არ შეიძლება საავადმყოფოს და ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტის უბინაოთ დატოვება.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელებო—ეს უშუალოდ თქვენ გეხებათ.

ვ. ბუაჩიძე.

მსხვილი მოგება

... რაიონის შემნახველი სალაროს ობლიგაციების შემმოწმებელმა ბრიგადამ აღმოაჩინა, რომ ... ტირაჟით მოუგია 1.000 მან. ... (მესამე გადამწყვეტი წლის სესხი, სერია ...32 № 5) მე-8 ... (მესამე გადამწყვეტი წლის სესხი, სერია 6.566 № 57)—500 მანეთი.

500 ტონა შაბიამანი 3000 ტონა საპონი

სარეწაო საბჭოსთან არსებობს ქიმიური სამმართველო, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ქიმიურ საწარმოს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შაბიამანის ქარხანა, რომელიც გასულ წლებში იძლეოდა 40—60 ტონა პროდუქციას, და საპნის ქარხანა, რომელიც ამჟამად რეკონსტრუირებულია.

შაბიამნის ქარხანა გაფართოებულია იმდენათ, რომ მას შეუძლია მოგვცეს 1.500 ტონამდე შაბიამანი, ყოველწლიურად. ნედლი მასალის საკმაო რაოდენობით მოუმარაგებლობის გამო, აღნიშნულ ქარხანას წელს მიცემული აქვს დავალება 500 ტონა შაბიამნის გამოსაშვებად.

საპნის ქარხანამ კი წელს უნდა მოგვცეს 3.000 ტონა სარეცხი და ატუალეტო საპონი. ქარხანაში წარმოება სავსებით მექანიზებულია.

როგორი ამინდი იქნება მარტში

ა.-კ. ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამმართველოს ცნობებით, 10 მარტიდან საქართველოში მოსალოდნელია ამინდის ასეთი ცვლილებები:

10 მარტიდან დაიწყება სითბოს მატება, რაც ... შეუწყობს მცენარეების დაკვირტებას და ბალახების წამოზრდას. მოსალოდნელია უმეტეს რაიონებში სუსტი ქარი და სიმშრალე.

მარტის შუა რიცხვებში ტემპერატურა ოდნავ დაიკლებს, ხოლო მთიან ადგილებში საგრძნობი სიცივე იქნება. ამავე ხანებში მთიან ადგილებში მოსალოდნელია თოვლი და ბარათ წვიმა.

18 მარტიდან დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა კვლავ მოიმატებს. ამოვარდება ქარი, რომელიც ზოგგან ძლიერი იქნება. ქარი მოსალოდნელია აღმოსავლეთიდან.

აღმოსავლეთ საქართველოსა, სომხეთსა და აზერბეიჯანში ქარი უფრო სუსტი იქნება. მაგრამ, სამაგიეროდ ტემპერატურა დაიკლებს და ალაგ-ალაგ ადგილი ექნება ნალექებს. მთიან ადგილებში აქაც მოსალოდნელია თოვლი.

ტფილისში და მის მიდამოებში ამინდის ერთბაშად გაუარესება არაა მოსალოდნელი.

... ფაბრიკამ პირველი ჯილდო ... ფაბრიკა „ილფ-ფილმი".
სურათზე: მოვერცხლილი ბროლის ..., რომელიც ჯილდოდ მიეცა „ილფფილმს".

სალებავები არადეფიციტური ნედლეულიდან

სხვადასხვა სამშენებლო სალებავების — ოლიფის, კრონის, ლაჟვარდის, მათეთრის და მთელ რიგ სხვა სალებავების დასამზადებლად დღემდე ხმარობდნენ უმთავრესად დეფიციტურ ნედლეულს.

ორთაჭალის ქიმიური სალებავების ქარხანამ ჩაატარა საინტერესო ცდები ამავე სალებავების არადეფიციტური ნედლეულიდან დასამზადებლად.

ექსპერიმენტით დამთავრებულია ცდები ლაჟვარდისა და კრონის მისაღებად. ახალი ნედლეულიდან დამზადებული სალებავების თვითღირებულება დაბალი იქნება, რაც ... შეუწყობს სამშენებლო სამუშაოების გაიაფებას. ქარხანა უკვე შეუდგა ლაჟვარდის და კრონის მასობრივად გამოშვებას. სალებავის ხარისხი კარგია.

ტფილისის ზოოპარკში

— ამ დღეებში ტფილისის ზოოპარკში 8 მაკე ჯიხვიდან ორმა მოიგო თითო ნუკრი, ხოლო დანარჩენებმაც უნდა მოიგონ ამ დღეებში.

— გარეული ჯიხვისა და შინაური თხის გადაჯვარედინების შედეგად 3 მარტს ზოოპარკში დაიბადა ხუკრი, რომელიც სავსებით გარეულ ჯიხვს გავს.

— ზებრამ შინაური ცხენის გადაჯვარედინების შედეგად მოიგო კვიცი, რომელიც სავსებით დედას მიაგავს.

— მარტის ბოლომდე ზოოპარკში ... მოგვცემენ შვლები, დათვები და ირმები.

6 მარტს გამართულ საავიაციო ზეიმზე მოხდა ახალგაზრდა პილოტების გამოშვება. ახალგაზრდა პილოტებმა მთელი წლის განმავლობაში წარმოებიდან მოუწყვეტლივ დაამთავრეს საპილოტო სკოლა.
სურათზე: ტფილისის აეროკლუბის მიერ გამოშვებული ახალგაზრდა პილოტები.

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ-ში ვაჭრობის მთლიანი აღწერის ჩატარების შესახებ

„1935 წ. სავაჭრო აღწერის ჩატარების შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის 1934 წლის ნოემბრის 1-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღწერის სამმართველოს ჩაატაროს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სავაჭრო წარმოებისა და მათი კადრების მთლიანი აღწერა.

2. აღწერამ უნდა გარემოიცვას ყველა სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო საბითუმო და საცალო სავაჭრო საწარმოები და ორგანიზაციები.

3. დაევალოს ყველა სარესპუბლიკო და სარაიონო სავაჭრო ორგანიზაციას ჩაატარონ აღწერისათვის მოსამზადებელი მუშაობა თანახმად საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ინსტრუქციისა და პროგრამისა, ისეთი ვარაუდით, რომ ა.-წ. აპრილის 15-ისათვის უკვე მზად იყოს 1935 წ. 1-ლი კვარტალის ანგარიშები დამტკიცებული ფორმების მიხედვით.

4. დაევალოს ყველა სავაჭრო ორგანიზაციას დაუყოვნებლივ მისცენ მათ ქვემდებარე ორგანიზაციებს და თავიანთ ქსელს სათანადო ცირკულარული განკარგულებანი და დაუბრკოლებლივ მიაწოდონ საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს აღწერისათვის საჭირო ყველა ცნობა.

5. აღწერის ფორმულარების შევსება ევალება საწარმოთა ხელმძღვანელებს (მაღაზიების დირექტორებს და სხვ.) ან მათ მიერ ამ მიზნისათვის გამოყოფილ სპეციალურ პირს.

6. მთელი პასუხისმგებლობა აღწერის ფორმულარების სწორედ შედგენისათვის და მათი ვადაზე წარდგენისათვის ეკისრება ორგანიზაციების დირექტორებს, კანტორების, სავაჭრო ბაზებისა და მაღაზიების გამგეებს.

7. ყველა სავაჭრო ორგანიზაცია ვალდებულია საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მოთხოვნისთანავე გადასცეს ამ უკანასკნელის განკარგულებაში აღწერის მთელი დროის განმავლობაში აღწერისათვის აუცილებელი კადრები—სამუშაო ხელფასის შენახვით.

8. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღწერის ორგანოებს აღწერის ჩატარების საქმეში, კერძოდ, დაუბრკოლებლივ მისცენ აღწერის მომუშავეებს მიმოსვლის საშუალებანი.

9. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს იხმარონ ღონისძიებანი ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ.
ბუდუ მდივანი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ქავთარაძე

1935 წ. მარტის 8.
ტფილისი.

საგზაო მშენებლობას მომზადებული კადრები

საქგზატრანსი შეუდგა ძირეულ საგზაო კადრების მომზადებას. წელს საქართველოში საგზაო მშენებლობისათვის უნდა მომზადდეს 2.000 კაცი, აქედან 1.100 სოფლის საგზაო რწმუნებული, 800 კოლმეურნეობის საგზაო ბრიგადირი და 100 საგზაო ოსტატი.

კურსები მოეწყობა ყველა რაიონში. საშუალოდ თვითეულ რაიონში მომზადდება 20—30 კაცი. კურსები იქნება ერთთვიანი.

ძირეულ საგზაო კადრების მოსამზადებლად გადადებულია 300.000 მანეთი.

ამჟამად მიმდინარეობს ადგილებზე კურსების ჩამოყალიბება.

აბრეშუმის ხაზოვი ფაბრიკის დამკვრელი ინსტრუქტორი ამხ. ლიდა ზუბაშვილი უსინჯავს ქსელის ხარისხს მქსოველ ამირანაშვილს, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 147 პროცენტით.

ფიზკულტურა და სპორტი

დამთავრდა ა.-კ. მთხილამურეთა შეჯიბრება

6 მარტს ბაკურიანში დამთავრდა ა.-კ. მთხილამურეთა შეჯიბრება. მონაწილეობდნენ საქართველოს და სომხეთის მთხილამურეთა ნაკრები კოლექტივები.

შეჯიბრების პირველ დღე ბოგიდან ხტომაში ... კონკურსგარეშე მონაწილე საქართველოს მთხილამურე გვალია ... 13 ნახ. მეტრზე. კონკურსში მონაწილეთა შორის პირველ ადგილზე გავიდა სომხეთის მთხილამურე შაკარიანი (13 მეტრი), ხოლო მეორე ადგილზე — აერობაბაჯანიანი (სომხეთი, 12 მეტრი).

შეჯიბრების მეორე დღეს ჩატარდა სირბილი 30 კილომეტრზე. საქართველოს მთხილამურე ... სირბილის დროს თხილამური ... მიზეზის გამო შეჯიბრებიდან გამოეთიშა. 30 კილომეტრი ყველაზე ადრე დაფარა კონკურსგარეშე მონაწილემ საქართველოს მთხილამურემ **ხავინმა**. მას მოჰყვა **აერობაბაჯანიანი** (სომხეთი), შემდეგ კი **სებელიოვი** (სომხეთი).

ქალებიდან 10 კილომეტრზე სირბილში ... პირველად გადასერა **მატინიანმა** (სომხეთი) მას მოჰყვა **კოზლოვა** (სომხეთი).

მესამე დღეს მთიდან „სლალომის" სტილით დაშვებაში სამივე პირველ ადგილზე საქართველოს მთხილამურენი გამოდიან. პირველ ადგილზე გამოვიდა **გვალია**, მეორეზე—**სმირნოვი**, მესამეზე—**კოხმაჩევსკი**.

ქალებიდან პირველ ადგილზე გამოდის **ხელეზნიოვა** (საქართ.), მეორეზე **კონდრატენკო** (სომხ.), მესამეზე—**მატინიანი** (სომხ.).

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ჩატარდა სირბილი 15 კილომეტრზე. პირველმა დაფარა მანძილი საქართველოს მთხილამურემ **კოხმაჩევსკიმ**, მეორე **ხავინმა** (საქართვ.) ქალებიდან 5 კილომეტრზე სირბილში პირველ ადგილზე გამოდის **ხელეზნიოვა** (საქართველო), მეორეზე **მატინიანი** (სომხეთი), მესამეზე—**შერბაკოვა** (საქართ.).

შეჯიბრების საერთო შედეგად გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა სომხეთის მთხილამურეთა გუნდმა.

პარტკალენდარი

— 9 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრა აწყობს ამხ. **ტრაჩენკოს** მოხსენებას თემაზე: **„ზოგიერთ ცვლილებები საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში"**. მოხსენება შესდგება წითელი არმიის სახლში. მოწვეული არიან: პარტ-კომკავშირული და პროფ. აქტივი, მეცნიერული მუშაკები, ყველა უმაღლეს სასწავლებლების პროფესორები, ლექტორები და ასპირანტები, შესვლა თავისუფალია.

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იტყობინება, რომ რაიპარტაქტივის მეცადინეობა ა.-წ. 9 მარტიდან გადატანილია 19 მარტისათვის.

ამხ. შავლაძის ხსოვნას

5 მარტს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და თავდადებული რევოლუციონერი სამსონ ბესარიონის-ძე შავლაძე.

... რაიონის სოფელ ლიკორწმინდის ღარიბი ოჯახიდან გამოსული, 15 წლის ახალგაზრდა იგი შედის მუშად ტფილისის რკინისგზის მთავარ სახელოსნოში. აქ სამსონი ამ თავითვე ჩაება არალეგალურ მარქსისტულ წრეების მუშაობაში. 1913 წ. იგი გაწვეულ იქნა ჯარში, სადაც დაჰყო 1917 წლამდე. თებერვლის რევოლუციამ მას მოუსწრო არხანგელსკის მხარეში, სადაც აირჩიეს ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. იმ თავითვე სამსონი ბოლშევიკების რიგებშია. 1917 წ. ზაფხულზე იგი უკვე რაჭაშია და სხვა ამხანაგებთან ერთად ეწევა არალეგალურ მუშაობას ბოლშევიკურ პარტიაში, რის გამოც მან განიცადა დევნა—პატიმრობა მენშევიკების მხრით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე სხვადასხვა დროს მას ეჭირა სოფლის საბჭოების და რაიონის რევკომის თავმჯდომარეობა. შემდეგ რაჭის მაზრის პროკურორად და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. ოლქების დაყოფის დროს სამსონი ქუთაისის ოლქის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგეა. საქართველოს რესპუბლიკის დარაიონების დღიდან სამსონი არჩეული იქნა ონის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეთ, სადაც იგი მუშაობდა დაავადებამდე ე. ი. 1933 წლამდე. ამხ. სამსონი იყო საქართველოს ცაკის წევრი.

ხანგრძლივი მუშაობით მოქანცული სამსონი ლოგინად ვარდება 1932 წლიდან. მიუხედავად პარტიისა და ხელისუფლების ყოველგვარი დახმარებისა, იგი მაინც ვერ გადაურჩა მძიმე სენს და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 42 წლის, უდროოდ გამოეცალა ჩვენს რიგებს.

შესანიშნავი სიმტკიცე და სისპეტაკე ახასიათებდა სამსონს. იგი ყოველთვის მედგრად იცავდა პარტიის სიწმინდეს და პარტიაში ყოველგვარ გადახრების წინააღმდეგ.

იგი იმავე დროს იყო საუკეთესო ამხანაგი, რომლის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველა მის ამხანაგებს შორის:

შ. ლეჟავა, ლ. ლეჟავა, დ. ნასარიძე, ა. კობახიძე, ა. წულუკიძე, კ. ბოგვეჯიშვილი, ლ. მახარაშვილი, ბ. ზურაბიძე, ი. ჯანელიძე, პ. ზურაბიძე, ლ. იგორაძე, შ. ზურაბიძე, გ. ბუ...იძე, შ. ბელიძე, ი. შავკლაძე, გ. ონუფრიძე.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934—35 წ. სეზ.

დღეს 8 საღ. 9 წარმ. — დაისი

10 მარტს, 4 ს. 9 წ. სიმფონიური კონცერტი კარლო სავ... ხელმძღ. ... დასაწყისი 9 საათზე.

11 მარტს 12 ს. 10 ... ... მუხტაროვ...

... აბონ.-ები რომლებსაც ... 10 ... წარმოდგენის ... ადგილები ...

სალარო ღიაა: დღისით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს.
დასაწყისი საღამოს 8 ს.

9 მარტს ... 6 ... — მ ლ ე ბ ი
10 მარტს 18 ... 6 ... — ნაგიმვარი
11 მარტს ... — მანგა ...

ტფილისის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის 12 მარტს, დღის 12 საათზე მ ა ნ გ ა შ ი შეღავათიან ფასებში.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ქართული დრამის თეატრი

9 მარტს აბონ. № 4 დღ 8 წარ. — წარმოდგენა № 103 — ურიელ აკოსტა
10 მარტს აბონ. № 14 დღ 6 წარმ. — წარმოდგენა № 104 — მზის დაბნელება საქ.
... სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

სპორტინგი 6-30 ... 10-30 — ... მხიარული ახალგაზრდობა ...
დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11 — ... 1 სერია. ... 12 საათიდან.
... 6-30, 8, 9-30, 11 — ახალი მხატვრული ფილმი ორი ღამე ...
ლუნაჩარსკის სახ. 6-30, 8, 9 30, 11 — ახალი ... ხმოვანი ფილმი ...
...-ის კომ. სახ. ... 10-30 — მხატვრული ფილმი ზღვის ძირში

საფეიქრო ინდუსტრიალურ კომბინატთან არსებული საფაბრიკო-საქარხნო სკოლის დირექცია
აცხადებს მოწაფეთა მიღებას
საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში 1935 წლისათვის
(ქართულ და რუსულ ჯგუფებში)

სკოლა ამზადებს საფეიქრო მრეწველობისათვის კვალიფიციურ კადრებს შემდეგი პროფილების მიხედვით: 1) ქსოვა, 2) ძაფის დართვა და 3) კამვოლის დართვა.

სკოლაში მიიღებიან მშრომელი ახალგაზრდები ორივე სქესის 17 წლიდან 21-წლამდე, პირველ რიგში მუშებისა და კოლმეურნეების შვილები. მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ 7-წლედდამთავრებულებს და ქალებს.

სწავლების კურსი 6 თვიანია.

... იქნება ან ჯამაგირით 41 მან. 57-მანეთამდე. ... შეღავათიანი სადილებით და ... აბონემენტებით (ბილეთებით). მიღებული 40% დაკმაყოფილებული იქნებიან საერთო საცხოვრებლით, განათებით, გათბობით და მთელ ინვენტარით.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საბუთები: 1) განათლების 2) მეტრიკული ამონაწერი, 3) სოც. მდგომარეობის, 4) ჯანმრთელობის, 5) 2 ცალი ფოტოსურათი 6) პასპორტი და) მივლინების მოწმობა.

განცხადებები მიიღება 15 თებერვლიდან 10-მარტამდე კომბინატის კანცელარიაში ... ქ. ... მაუდის ფაბრიკასთან) დილის 9-საათიდან, საღამოს 4 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კომბინატის კანცელარიაში.

94 დირექცია.

... საერთო კრების დადგენილებისა ... შეთანხმებით ხდება ... „..." ლიკვიდაცია.
პრეტენზიები მიიღება 15 მარტ მდე.
7049 ლიკვიდკომი.

... ათთიანი ... ... 914 ... ... ქართული ... № 10 ...

ექიმი ... ... მიღება ... —7 ... № 7 ... 5 ...

... ... დაავადებების ... სალაროს 6-ნახ. ს. 8 საათ მდე. ... № 1-8 ... 63

მშობლები: მამუკა, ... იუწყებიან საყვარელ **ზიზი ამაშუკელის** გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 3 ს. ... ქ. № 12 კუკიის სასაფლაოზე. 1—1 7025

საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი იუწყება მავე კომისარიატის მარცვლოვან კულტურათა სამმართველოს უფროსის ამხ. შ. ნამგალაძის მამის **ილია ნამგალაძის** გარდაცვალებას. 7055

დიდედები: ეკატერინა გუნცაძე, ელენე მესხი, ბიძები: იოსებ გუნცაძე, დავით მესხი, ... მერი, იუწყებიან რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი გოგო მამუკას-ძე **ამაშუკელი** 7026

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან ამხ. ალექსანდრე იოსების-ძე დუდუჩავას დიდის **ხოფიო ხიმონის ას. კვაშალის** გარდაცვალებას. ანგ. 93

... ქარხნის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე ქარხნის დირექტორ გიორგი ... **მილორხი სულუქვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 მარტს. 1—1 7056

ვ. გვარამია, შ. მიქელაძე, ა. ხუხუა, ... ბესელია, მ. ბუჯიაშვილი, ა. ცინცაძე, შ. ქელიძე, ი. ჯანგველაძე, ს. ხელაშვილი, მ. ჩხეიძე, მ. სუკიასოვი, ე. პოლოკავა, მ. ფარემუზოვი, ვ. გამყრელიძე, ა. აბუევი, გ. ბერლინსკი, ნ. ჯაღარაია, იუწყებიან ამხ. შ. ნამგალაძის მამის **ილია ნამგალაძის** გარდაცვალებას. 7055

მშობლები: კარპეზ, ოლღა, ძმები: ნოე, ბორისი, სიმა, და თილიკო, რძალი კატუშა რობიტაშვილი იუწყებიან, რომ 9 მარტს 5 ს. სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი **ენლენა და მაყვალა თავაძეების** ხსოვნის აღსანიშნავად. 7050

ბიძა პროკოფი ღვალაძე იუწყება, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **გიორგი (ჟორჟიკა) ღვალაძე** 7053

ტფილსოფელკავშირის თანამშრომლები იუწყებიან მთავარი ბუხჰალტერის ბენიამინი თოდრიაძის სიდედრის **ანა ნიკოლოზის ას. ტერ-ნიკოღოსოვასის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10 მარტს 4½ საათზე სანაპირო ქ. № 7. 7052

ძმები: ანტონი, გიორგი, და სერაპიონ მეწირულები თავიანთი ცოლშვილით იუწყებიან დისშვილის **მილიხო იაგორის-ძე სულუქვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 მარტს. 1—1 7057

გიორგი გრიგორის-ძე ჩარკვიანი ოჯახობით იუწყება თავისი მამის **გრიგოლ სიმონის-ძე ჩარკვიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 7060

ტფილკომუნმომარაგების თანამშრომლები: ვლ. მზარეულიშვილი, რ. სვანიძე, ბ. ჩიქვილაძე, ს. ნაცვლიშვილი, ან. სარაული, დ. გამრეკელი, ტ. საბაშვილი, დ. ..., თ. ლომიძე, მ. ... იუწყებიან ამავე ტრესტის უფ. ბუხჰალტერ გიორგი ჩარკვიანის მამის **გრიგოლ სიმონის-ძე ჩარკვიანის** გარდაცვალებას. 7059

ა. ბუხნიკაშვილი, ა. ნიკოლაძე, დ. კაკაბაძე, მ. თოიძე, შ. ამირანაშვილი, ... შელავა, კ. სანაძე, ლ. ემონჯაევა, ლ. ქოქოძე, ლ. გრიგოლია, რ. თავაძე, იუწყებიან ამხ. შ. დუდუჩავას დიდის **ხოფიო ხიმონის ასულ კვაშალის** გარდაცვალებას. 7040

და ქსენია, ძმები: ვლადიმერი, სვიმონი, და ნესტორი ოჯახობით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **სამსონ ბესარიონის-ძე შავლაძე**. გამოსვენება დღეს რკ. გზის მთავარ საავადმყოფოდან 4½ ს. 7047

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 18, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 84. ტელეფონები: რედაქტორის 8—68—29, რედაქტორის მოადგილის 8—48—08, პასუხისმგებელი მდივნის 8—06—88, ... განყოფილების 8—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 2—57—61, სამრეწველო განყოფილების 8—78—40, ... 8—27—04, გამომცემლობის—8—41—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" ... ქ. № 68 — მთავლიტის რწმუნებული ა 9404